2011

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 292 14 03; 293 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 292 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge



# საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
# TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

## 2011

# სარჩევი
# TABLE OF CONTENT

4

ჩვენს შესახებ
About Us 6

2011 წლის პროექტები
Projects 2011 8

2011 წლის კორუფციის აღქმის ინდექსი
Corruption Perception Index 2011 30

პოპულარული ბლოგები 2011
Popular Blogs 2011 31

სხვა აქტივობები
Other Activities 37

ორგანიზაციის სტუმრები
Our Guests 41

კოალიციის წევრობა
Coalition Membership 44

ორგანიზაციის ადვოკატირების კამპანია და მოქალაქეების ჩართულობა
Organization Advocacy Campaign and Outreach Policy 47

მე – „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სტაჟიორი
TI Georgia Interns 49

სტაჟორობიდან თანამშრომლობამდე
From Internship to Employment 52

ჩვენი ფინანსური გუნდი
Our Financial Team 54

გამგეობის წევრები და თანამშრომლები
Board Members and Staff 58

გამოძახილები ორგანიზაციაზე
Acknowledgements 60

დონორები
Donors 61

დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა
Independent Auditor's Report 68



# აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა

## ძვირფასო მეგობრებო,

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ” კიდევ ერთი 2011 წელი წარმატებით დაასრულა. გასული წლის განმავლობაში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი და საინტერესო პროგრამა განვახორციელეთ და, როგორც ყოველთვის, აქტიურად ვიყავით ჩართულები საქართველოში დემოკრატიის განვითარების პროცესში. 2011 წელს დავასრულეთ ჩვენი ორწლიანი მუშაობა საქართველოში ანტიკორუფციული სისტემის შეფასებასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ შევეხეთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა მედია გარემოს დამოუკიდებლობა, სარეკლამო ბაზარი და საქართველოსათვის გამოყოფილი საერთაშორისო დახმარებების ეფექტურად და გამჭვირვალედ გამოყენება. აქტიურად ვიყავით ჩართულები საქართველოში საარჩევნო გარემოს რეფორმის პროცესში და ა.შ. “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ” შეიმუშავა მრავალი რეკომენდაცია ზემოთ ჩამოთვლილ და სხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, მთავრობის მიერ ამ რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, ჩვენ ინდივიდუალურად, ან პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, აქტიურად ვახორციელებდით ადვოკატირების კამპანიას.

“საერთაშრისო გამჭვირვალობა - საქართველომ” გასულ წელს დაიწყო შეხვედრები რეგიონულ ჟურნალისტებთან და სტუდენტებთან. 2011 წელს გავხსენით ბათუმის ოფისი. რეგიონული ოფისებით ვცდილობთ ცნობადები ვიყოთ არა მარტო დედაქალაქში, არამედ რეგიონებშიც. ორგანიზაციის საპარლამენტო ოფისის მეშვეობით კვლავაც ვაწვდით ინფორმაციას საზოგადოებას პარლამენტში მიმდინარე საკანონმდებლო განხილვების შესახებ. ჩვენი პერმანენტული შეხვედრები საქართველოში მყოფ უცხო ქვეყნის ელჩებთან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, რაც ძალიან მახარებს.

2012 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები, რომელთა დემოკრატიულობის ხარისხი პირდაპირ კავშირში იქნება ქვეყნის მომავალ განვითარებასთან. “ საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო” კვლავაც დააკვირდება არჩევნებს. უფრო მეტიც, ჩვენი ორგანიზაცია არჩევნების წინა პერიოდში საარჩევნო მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების მონიტორინგსაც განახორციელებს. ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მედია სექტორის განვითარებისთვის ბრძოლას, დავიცავთ ადამიანთა საკუთრების უფლებებს, მათ შორის ჩვენი უფასო იურიდიული კონსულტაციის ცენტრის მეშვეობით. აქტიურად ვითანამშრომლებთ როგორც ხელისუფლებასთან, ასევე არასამთავრობო სექტორისა და მედია საშუალებების წარმომადგენლებთან. საქართველოში დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბების მიზნით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს “ საერთაშრისო გამჭვირვალობა- საქართველოს” ჩართულობა ახალ საარჩევნო ინიციატივაში, რომელიც მსოფლიოში ღია მმართველობის პრინციპების დანერგვას გულისხმობს. “საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო” გააგრძელებს ახალი ტექნოლოგიების გამოყენების პოპულარიზაციას მთავრობის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით. ჩვენ ვცდილობთ, განსაკუთრებით გახსნილები ვიყოთ საზოგადოებისთვის და ვეცდებით, რომ ჩვენი ორგანიზაცია გახდეს ადგილი, სადაც საზოგადოებას საშუალება ექნება, შეიკრიბოს და საინტერესო და კომპეტენტური აზრი მოისმინოს ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველოს” სახელით დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ყველა ჩვენს მეგობარ და დონორ ორგანიზაციას, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ჩვენს წარმატებაში და რომლებიც კვლავაც მხარს გვიჭერენ და განსაკუთრებით აფასებენ ჩვენს საქმიანობას.

პატივისცემით,
ეკა გიგაური

აღმასრულებელი დირექტორი

# MESSAGE FROM THE EXECUTIVE DIRECTOR

## Dear Friends,

2011 was another successful year for Transparency International Georgia (TI Georgia). Throughout the last year, we have carried out a number of important and interesting programs and, as usual, have been actively involved in Georgia's democratic development: we have finalized our two-year work on evaluating the anti-corruption system in Georgia; once again touched upon important issues such as independence of the media environment and advertising market and the effective and transparent utilization of international aid allocated for Georgia; and have been actively involved in reforming Georgia's election environment. TI Georgia has worked out a number of recommendations regarding the above as well as other important issues. Additionally, we have carried out an advocacy campaign both individually and together with our partner organizations to ensure that the Georgian government takes these recommendations into account. Starting from last year, TI Georgia has been having meetings with journalists and students from the various regions of Georgia. In 2011, we opened our first office in Batumi, which we have used as a base to become more active and visible outside the capital. We have continued to supply the greater public with information on ongoing legislative hearings through a new office in parliament. Our ongoing meetings with the Tbilisi diplomatic corps have become especially popular, which I am so glad about.

Georgia will hold parliamentary elections in October 2012. The level of democracy in these elections will have a direct impact on the country's future development. TI Georgia will observe these elections as we have done traditionally. Furthermore, our organization will also monitor cases of misuse of administrative resources for election purposes during the pre-election campaign. We will persist in our efforts to support the development of a strong and pluralistic media sector, and safeguard people's property rights through our free legal advice centers. We will actively work together with the authorities as well as NGOs and the media to establish an independent judiciary system. Of no less importance is TI Georgia's participation in a new international initiative that endeavors to ingrain the principles of open governance worldwide. TI Georgia will continue to promulgate the use of modern technologies in order to enhance the accountability and transparency of Georgia's government. We are trying to be exceedingly open for the general public and we do so to ensure that our organization becomes a venue for people to get together and hear interesting and competent views on a variety of fundamental issues involving Georgia.

On behalf on TI Georgia, I would like to thank all our friends, partners, and donor organizations who have had an important role in our success and continue to support and value our work.

Sincerely,
Eka Gigauri

Executive Director




# ჩვენს შესახებ

## „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“

,,საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ არის ,,საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ეროვნული ბიურო, რომელიც საქართველოში 2000 წლის 7 მაისს დაარსდა. ორგანიზაციის მიზანია სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის ხელშეწყობა და გაძლიერება, კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის განვითარება, სახელმწიფო ორგანოების გამჭვირვალობისა და მათი პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა.

“საერთაშორიოს გამჭვირვალობა – საქართველოს” ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპებია:

- ყოვლისმომცველი, სიღრმისეული და ობიექტური ანალიზების განხორციელება;
- გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლების მიზნით პრო აქტიული ადვოკატირების ეფექტური განხორციელება;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” მუშაობაში საზოგადოების ჩაბმულობის ხელშეწყობა და წახალისება იმისათვის, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” საქმიანობა სრულად შეესაბამებოდეს და გამოხატავდეს ქართული საზოგადოების ყოველი ნაწილის ინტერესებსა და საჭიროებებს.
- ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენების წახალისება და ხელშეწყობა.

საზოგადოების, როგორც საერთაშორისო ქსელის „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ წევრის, მიზანს წარმოადგენს „საერთაშორისო გამჭვირვალობის” (Transparency International) მიზნების განხორციელება მხარდაჭერა საქართველოში.

## „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სამდივნო

,,საერთაშორისო გამჭვირვალობა” არის კორუფციასთან მებრძოლი მსოფლიოო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია. მოძრაობა აერთიანებს 90-ზე მეტ ეროვნულ ბიუროს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მისი მიზანია როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ისე საერთაშორისო დონეზე კორუფციის აღმოფხვრა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. საერთაშორისო დონეზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ იკვლევს მსოფლიოში კორუფციის გამომწვევ მიზეზებს და მის შედეგებს და მოუწოდებს პოლიტიკოსებს, მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შემცირდეს კორუფციის გავლენა და ამ გზით დაძლეულ იქნას სიღარიბის პრობლემა. ორგანიზაცია ასევე მონაწილეობს საერთაშორისო ანტიკორუფციული კონვენციების შემუშავებაში და მხარეთა მიერ მათი შესრულების მონიტორინგში ცალკეული ქვეყნების დონეზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ საქმიანობს ეროვნული ბიუროების საშუალებით. ეროვნული ბიუროები იკვლევენ კორუფციასთან დაკავშირებულ პრობლემებს ქვეყნის შიგნით და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერების, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის სისტემის დანერგვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების როლის გაზრდისკენ.

# ABOUT US

## TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

Transparency International Georgia (TI Georgia), a national chapter of Transparency International (TI), was established on 7 May 2000 as a local non-governmental organization committed to combating corruption in Georgia by promoting transparency, accountability, and public engagement. TI Georgia's main aim is to support building and empowering state institutions, develop good governance and the rule of law, ensure the transparency, and direct accountability of the state institutions.

TI Georgia has the following guiding principles:

- Conduct objective, insightful and comprehensive analysis;
- Effectively employ pro-active and re-active advocacy to ensure increasing transparency and accountability of state and private sector;
- Promote broad public engagement in TI Georgia's work so that TI Georgia's activities reflect the needs and interests of parties from all parts of Georgian public society;
- Support TI Georgia's activities with innovative uses of technology, recognizing that new technologies offer increasingly powerful ways of improving the scope, reach, and impact of our work.

TI Georgia, as a member of the global network "Transparency International," will pursue the aims of "Transparency International".

## TRANSPARENCY INTERNATIONAL SECRETARIAT

Transparency International is a global civil society organization leading the fight against corruption. It brings together civil society, business, and governments in a powerful global coalition. TI, through its Berlinbased Secretariat and close to 100 independent national chapters around the world, works to stem both the supply and demand of corruption at the local, national, and international levels. In the international arena, TI raises awareness about the damaging effects of corruption, advocates policy reform, works towards the implementation of multilateral conventions, and monitors compliance by governments, corporations, and banks. At the national level, chapters work to increase levels of accountability and transparency, monitoring the performance of key institutions and pressing for necessary reforms in a nonpartisan manner.

# პროექტები
# PROJECTS 2011

## ეროვნული ანტიკორუფციული ისტემის ანალიზი (NIS)

**დონორი: ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი (DFIF)**
**ხანგრძლივობა: სექტემბერი 2009 – ივნისი 2012**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ 2009 წლის ბოლოდან დაიწყო საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზი. აღნიშნული ანალიზი დეტალურად შეისწავლის 12 ძირითად ინსტიტუტს, რომლებიც წამყვან როლს თამაშობს კორუფციის შემცირებასა და ქვეყნაში კარგი მმართველობის პრაქტიკის ჩამოყალიბებაში. ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის კვლევამ მოიცვა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, სამოქალაქო მომსახურების სფერო, კანონდამცველი ორგანოები, საარჩევნო ადმინისტრაცია, სახალხო დამცველის აპარატი, კონტროლის პალატა, სამოქალაქო საზოგადოება, მედია და ბიზნესი. ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზის მეთოდოლოგია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სამდივნომ შეიმუშავა და მას საერთაშორისო გამჭვირვალობის

ეროვნული ბიუროები მთელს მსოფლიოში იყენებენ. კვლევამ შეისწავლა ინსტიტუტების ორგანიზაციული ძლიერების სხვადასხვა კომპონენტი (რესურსები, დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, კეთილსინდისიერება) და თითოეული ინსტიტუტის როლი მმართველობის სისტემაში კორუფციის შემცირების საქმეში. ცალ-ცალკე შევისწავლეთ ზემოთაღნიშნულ კომპონენტებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა და არსებული პრაქტიკა. ამა თუ იმ ინსტიტუტის ზოგადი ძლიერების შესაფასებლად შევაჯამეთ თითოეული კომპონენტის ირგვლივ მიღებული კვლევის შედეგები.

2011 წლის 30 მაისს თანამონაწილეთა შეხვედრაზე მოეწყო კვლევის შედეგების წარდგენა და განხილვა. სამთავრობო სტრუქტურების, პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებიც შეხვედრას ესწრებოდნენ, გამოთქვეს მოსაზრებები დოკუმენტის შესახებ. თანამონაწილეებთან შეთანხმებული „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიში ოქტომბრის ბოლოს გამოიცა. თბილისში ჩატარებული ღონისძიების გარდა, 2011 წლის ნოემბერში პრეზენტაციები გაიმართა ქუთაისსა და ბათუმში.

**საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზმა აჩვენა, რომ მართალია, საქართველოს ჰყავს ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელმაც მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია მმართველობის ეფექტურობის გაზრდისა და წვრილმანი კორუფციის წინააღდეგ ბრძოლაში, მაგრამ ხელისუფლების სხვა შტოების, კერძოდ, პარლამენტისა და სასამართლო ხელისუფლების სისუსტის გამო, ძალაუფლების გადანაწილება დაუბალანსებელია, რაც ასუსტებს მთავრობის ანგარიშვალდებულებას და ზრდის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. პრობლემას ამძაფრებს პოლიტიკური პარტიების, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე.**

ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ანალიზისას გამოვლენილი მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ ადვოკატირების კამპანია დაიწყო.

## NATIONAL INTEGRITY SYSTEM ASSESSMENT

DONOR: UK DEPARTMENT FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT (DFIF)
DURATION: SEPTEMBER 2009 – JUNE 2012




TI Georgia began the assessment of Georgia's National Integrity System (NIS) – a comprehensive review of the 12 key institutions that play a role in reducing corruption and promoting good governance in the country – in late 2009. The NIS research covered the following 12 institutions: the legislature, the executive branch, the judiciary, the civil service, law enforcement agencies, the electoral administration, the public defender, the supreme audit institution, political parties, civil society, media and business. The NIS methodology was developed by the TI Secretariat and is applied by TI national chapters throughout the world.

The study examined various components of institutional strength (resources, independence, transparency, accountability, integrity), as well as each institution's specific role in reducing corruption throughout the governance system. For each of these components, a separate analysis of the legal framework and of the state of affairs n practice was conducted. Research results for each component were then combinedto assess the current overall strength of each institution.

Preliminary findings of the NIS research were presented and discussed at a stakeholder workshop on 30 May 2011. Representatives of government agencies, political parties and civil society organizations attended the event and had a chance to review all parts of the document and to offer their comments. The final version of the Georgia NIS Assessment report was released in late October. In addition to the launch that took place in Tbilisi, presentations were held in Kutaisi and Batumi in November 2011.

**THE GEORGIA NIS ASSESSMENT FOUND THAT, WHILE GEORGIA HAS A STRONG EXECUTIVE BRANCH THAT HAS ACHIEVED SIGNIFICANT RESULTS IN TERMS OF IMPROVING EFFECTIVENESS OF GOVERNANCE AND ELIMINATING PETT Y CORRUPTION, THE WEAKNESS OF OTHER CORE INSTITUTIONS – PARLIAMENT AND THE JUDICIARY – UNDERMINES THE SYSTEM OF CHECKS AND BALANCES AND WEAKNESS THE GOVERNMENT'S ACCOUNTABILITY, CREATING A SIGNIFICANT RISK OF ABUSE OF POWER AT THE HIGHER TIERS OF AUTHORITY. THE PROBLEM IS EXACERBATED BY THE WEAKNESS OF POLITICAL PARTIES, MEDIA AND CIVIL SOCIETY.**

Following the release of the report, TI Georgia has engaged in advocacy efforts focusing on the most significant findings of the NIS research. Most of the NIS advocacy-related activities will take place in 2012.

## გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული პოლიტიკური ფინანსები საქართველოში

**დონორი: ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“**
**ხანგრძლივობა: 1 მარტი, 2010 – 30 ივნისი, 2011**



„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ჯერჯერობით ერთადერთი ადგილობრივი ორგანიზაციაა, რომელმაც სისტემური კვლევა ჩაატარა პოლიტიკური პარტიების ფინანსებთან დაკავშირებით.

## PROMOTING TRANSPARENCY OF PARTY FINANCES

Donor: Open Society Georgia Foundation
Duration: 01 March 2010 - 30 June 2011

TI Georgia has so far been the only local organization that has conducted systematic studies on political finances.

The project on Promoting Transparency of Party Finances had the following objectives: a. identify the main shortcomings in the regulatory framework and in the enforcement of existing regulations and propose concrete recommendations for their eradication and prevention; b. seek and address concrete cases of corruption in party financing; and c. promote transparency and public awareness in this area.

For the purposes of this project, TI Georgia divided party finances into three main categories and scrutinized these types of income and expenses individually:

1. Annual incomes of the political parties that received funding from the State Budget in 2008-2010;

2. Funds raised by political parties for campaign activities prior to the 2008 Parliamentary and Presidential and 2010 local government elections;

3. State funds provided to the selected political parties to audit voter lists prior to the 2010 local government elections.

პროექტის მიზნებია:

- საკანონდებლო რეგულირებასა და კანონის აღსრულების მექანიზმებში არსებული ძირითადი ხარვეზების გამოვლენა. კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება მათი აღმოფხვრისა და პრევენციისათვის.

- ამა თუ იმ პარტიის დაფინანსებაში კორუფციის შემთხვევების გამოვლენა და მათზე რეაგირება

- სამოქალაქო ცნობიერების ზრდა და გამჭვირვალობის ხელშწყობა ამ მიმართულებით

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ პარტიათა დაფინანსებაში ქვემოთ აღნიშნული სამი ძირითადი კატეგორია გამოყო და თითოეული ტიპის დაფინანსება და მისი ხარჯვის საკითხი ცალ - ცალკე შეისწავლა:

1. 2008-2010-ში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პოლიტიკური პარტიების წლიური შემოსავლები

2. პოლიტიკური პარტიების მიერ 2008 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო და 2010 ადგილობრივ არჩევნებმდე მობილიზებული ფონდები

3. 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური პარტიების წინასწარშერჩეული ჯგუფისათვის ამომრჩეველთა სიების შესამოწმებლად მიწოდებული სახსრები კვლევამ აჩვენა, რომ

**პარტიების დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობა მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს. კანონში არსებული ძირითადი ხარვეზები შემდეგია: არ არსებობს ორგანო, რომელიც პარტიების დაფინანსების კანონთან შესაბამისობის საკითხს შეისწავლის; ბუნდოვანია, რომელი ორგანოა პასუხისმგებელი წლიურ ანგარიშებთან ერთად წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების შემოწმებაზე; არ არსებობს პარტიების წლიური დაფინანსების შესახებ ინფორმაციის წარდგენის სტანდარტული ფორმატი; ანგარიშგების პროცესში აუცილებელი არ არის ფინანსური დოკუმენტაციის ორიგინალი პირების წარდგენა; არასრული ან არაზუსტი ფინანსური ანგარიშების წარდგენისთვის**

რაც შეეხება პრაქტიკული თვალსაზრისით არებულ ხარვეზებს, რამდენიმე პარტიამ წლიურ ანგარიშში ინფორმაცია წარმოადგინა ხუთიდან ოთხი ტიპის ხარჯების შესახებ. ზოგიერთი პარტია საკუთარი ხარჯების ძირითად ნაწილს, რომელიც, ხშირად ხარჯების საერთო მოცულობის 70 %-ს შეადგენს და ხანდახან 1 მლნ ლარს აღემატება, „სხვა ხარჯების“ კატეგორიაში ათავსებს. ამგვარი პრობლემები მნიშვნელოვნად აძნელებს პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზს.

ცალკეულ შეთხვევებში პოლიტიკური პარტიები ან მათი დონორები არსებული რეგულირებისა და აკრძალვების გვერდის ავლას სხვადასხვა გზებით ცდლობდნენ. მაგალითად,



As the study revealed,

**THE LEGISLATION GOVERNING PARTY FINANCE IN GEORGIA REQUIRES SIGNIFICANT IMPROVEMENT. THE SHORTCOMINGS IN THE LAW INCLUDED THE FOLLOWING ISSUES: NO AGENCY RESPONSIBLE FOR ENSURING FULL COMPLIANCE OF PARTY FINANCING WITH THE LAW; UNCERTAINTY REGARDING THE BODY RESPONSIBLE FOR VERIFICATION OF ANNUAL PARTY FINANCE REPORTS ; NO SINGLE TEMPLATE FOR ANNUAL PARTY FINANCE REPORTING; NO REQUIREMENT TO PRESENT ORIGINAL FINANCIAL DOCUMENTS DURING REPORTING; NO SANCTIONS FOR PARTIES THAT SUBMIT INCOMPLETE OR INACCURATE PARTY FINANCE REPORTS .**

As for shortcomings in practice, some parties only provided four or five categories of expenses in their annual reports. A number of parties placed most of their expenses in the "other expenses" field, which often accounted for 70 per cent of total expenses and sometimes exceeded GEL 1 million. Such practices create considerable difficulties in analyzing party expenses.

In some cases, political parties or their donor companies used various means to try to circumvent existing regulations and bans. For instance, despite the fixed cap on donations that a single legal entity can make to a campaign fund, there have been cases of the same legal entity donating up to five times more through its subsidiaries in Georgia. Such violations have not been investigated or sanctioned.

**ANOTHER INTERESTING TREND WAS THAT THE RULING PARTY'S CAMPAIGN FUNDING HAD RANGED FROM SEVEN TIMES LARGER (DURING THE 2010 LOCAL ELECTIONS) TO 26 TIMES LARGER (DURING THE 2008 PRESIDENTIAL ELECTIONS) THAN THE TOTAL FUNDING OF ALL OTHER ELECTION CONTESTANTS . WITH A FEW EXCEPTIONS, OPPOSITION PARTIES HAD ONLY RECEIVED DONATIONS FROM PHYSICAL PERSONS, WHILE BUSINESSES HAD ONLY BEEN PROVIDING**



მიუხედავად ერთი და იმავე იურიდიული პირის მიერ გაკეთებულ შემოწირულობაზე დაწესებული მაქსიმალური ზღვარისა, იყო შემთხვევები, როდესაც იურიდიულმა პირმა ფილიალების მეშვეობით, დაწესებულ ზღვართან შედარებით 5-ჯერ მეტი თანხა გაიღო.

**საინტერესო ტენდენცია შეინიშნა იმ თვალსაზრისითაც, რომ მმართველი პარტიის კამპანიისათვის გამოყოფილი თანხა 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს 7-ჯერ, ხოლო 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას 26-ჯერ აღემატებოდა არჩევნების სხვა სუბიექტების საერთო დაფინანსებას. მცირე გამონაკლისების გარდა, ოპოზიციურმა პარტიებმა დაფინანსება ფიზიკური პირებისაგან მიიღეს, მაშინ როცა ბიზნეს სექტორი მხოლოდ მმართველი პარტიისა და მისი კანდიდატების დაფინასნებას ახდენდა.**

ზემოთაღნიშნული პრობლემებისა და ანალიზის პროცესში გამოკვეთილი სხვა იურიდიული თუ პრაქტიკული საკითხების გარშემო „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ წარმოადგინა რეკომედაციები იურიდიული გარემოს გაუმჯობესებისათვის. 2011 წლის ზაფხულში გრეკომ (GRECO) საქართველოს საკუთარი რეკომედაციები წარუდგინა, სადაც თითქმის იმავე პრობლემებზე იყო საუბარი. 2011 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები კანონმდებლობაში პარტიების დაფინანსების საკითხზე და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი გაითვალისწინა. "საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" კანონპროექტის თანაავტორად დასახელდა.

თუმცა, კანონში შეტანილი ცვლილებები ასევე საკმაოდ ბუნდოვან, არასრულ და არაგონივრულ რეგულირებებს შეიცავს. ერთ–ერთი მათგანია რეგულაცია, რის საფუძველზეც კერძო სექტორს ეკრძალება შემოწირულობების გაცემა პოლიტიკური პარტიებისთვის. ახალ კანონში იმდენად ზოგადი განმარტებებია შესული, რომ მათი მორგება თვისუფლად შეიძლება მედია გამოცემებისთვის, არასამთავრობო სექტორისთვის და სხვა ორგანიზაციებისადმი, რომლების ჩართულები არიან პოლიტიკურ პროცესში. ეს თავის მხრივ არასასურველ შედეგს მოიტანს სამოქალაქო სექტორის ჩართულობაზე. რომელთა შესწავლას „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" მომავალში გეგმავს.

## სასამართლო მონიტორინგისა და იურიდიული დახმარების პროგრამა

**დონორი: „აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტი“(EWMI)**
**აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)**
**ხანგრძლივობა: 1 დეკემბერი, 2010 – 30 სექტემბერი, 2014**

პროექტი „აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის“ (EWMI) მიმდინარე ოთხწლიანი პროგრამის „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერებისათვის“ ერთერთი კომპონენტია.



**FUNDING FOR THE CAMPAIGN OF THE RULING PARTY AND ITS CANDIDATES.**

TI Georgia provided a list of recommendations to improve the regulatory environment and address the above-mentioned problems and some other legal and practical issues the analysis had uncovered. In Summer 2011, the Council of Europe's Group of States against corruption (GRECO) provided recommendations to Georgia that highlighted almost the same problems. By the end of 2011, the Parliament of Georgia had adopted amendments to the legal framework of Party Finance and addressed most of the recommendations TI Georgia had put forth. TI Georgia was listed as a co-sponsor of the amendments.

However, the amendments as passed by Parliament also included some vague, incomplete and unreasonable regulations, including a complete ban of private sector contributions to political parties. The new rules are so general that they could potentially be applied to media outlets, NGOs, and other organizations that are involved in the political process, and could thus have a chilling effect on civic engagement. Party financing regulation is now so strict that there is a high risk that contributors and donors to parties will transfer funds off the books, undermining intentions to improve transparency and accountability.

## TI GEORGIA'S JUDICIAL MONITORING AND LEGAL ADVICE PROGRAM

**Donor: East-West Management Institute/USAID**
**Duration: 1 December , 2010 – 30 September, 2014**



The Judicial Monitoring and Legal Advice Program is established as a subprogram of the four-year USAID-funded Judicial Integrity and Legal Empowerment Project (JILEP), which is implemented by the East-West Management Institute (EWMI).



ადვოკატირებისა და სამართლებრივი დახმარების ცენტრი (ALAC)

სასამართლო მონიტორინგისა და იურიდიული დახმარების პროგრამა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ადვოკატირებისა და სამართლებრივი დახმარების ცენტრის (ALAC) მანამდე არსებულ პროექტზეა დაფუძნებული. ALAC -ის ახალი ოფისები ფუნქციონირებს თბილისსა და ბათუმში და უფასო იურიდიულ კონსულტაციებს უწევს საზოგადოებას. ALAC მუშაობს მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე, რომლებიც შეეხება მოქალაქეთა საჩივრებს სახელმწიფო ორგანოების წინააღმდეგ. ჩვენი იურიდიული კონსულტაციები ძირითადად ფოკუსირებულია საკუთრების უფლების დარღვევებსა და საგადასახადო დავებზე, თუმცა, შესაძლოა, სხვა საინტერესო საქმეებშიც ჩავერთოთ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მხარეთა ინტერესებს სასამართლოს ყველა ინსტანციაში დაიცავს. დღემდე, 503 ადამიანს გავუწიეთ იურიდიული კონსულტაცია, ხოლო 28 საქმე გადავამისამართეთ შესაბამის ორგანიზაციებთან.

**სასამართლოების მონიტორინგი**

გასულ წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ჩაატარა ადმინისტრაციული სამართლის საქმეების მონიტორინგი თბილისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში. ALAC-ი ასევე პერიოდულად აკვირდება პირველი ინსტანციის სასამართლოებში წარმოებულ პროცესებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

2012 წლის გაზაფხულზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ გამოაქვეყნებს პირველ დეტალურ ანგარიშს მონიტორინგის შედეგების შესახებ პრობლემური სფეროებისა და არალეგალური პრაქტიკის მიმოხილვით. ასევე დაგეგმილია რამდენიმე საქმის დეტალური შეფასება მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებისა და სასამართლო პროცედურებსა და შედეგებს შორის მიმართების დასადგენად. აღნიშნული ქართული სასამართლოს მიერ განხილული ადმინისტრაციული სარჩელის გაანალიზების პირველი მცდელობა იქნება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ოფისები 8 სრულ განაკვეთზე მომუშავე

**Advocacy and Legal Advice Center (ALAC )**

The Judicial Monitoring and Legal Advice Program builds on TI Georgia's pre-existing ALAC project. The new ALAC offices are operational in Tbilisi and Batumi, providing free legal consultations to the public. ALAC only takes on cases of administrative law, involving citizen's grievances against state bodies. Violations of property rights and tax disputes are the prime focus of our legal consultations; however, other cases are undertaken as well, based on merit. TI Georgia pursues cases to courts at all levels. In 2011, 503 persons were assisted through consultations and 28 cases were pursued further.

**Court Monitoring**

In 2011, TI Georgia monitored court hearings of administrative cases at Tbilisi City Court, Batumi City Court and Khelvachauri District Court. ALAC team members also conduct random monitoring of other courts located in different regions and districts of Georgia.

In spring 2012 TI Georgia will publish its first comprehensive report on court monitoring observation findings, identifying problematic areas and illicit practices. The report will include a complete legal assessment of the merits of several cases in order to assess the legality of the decisions and to make a comparison between procedures and outcomes of the cases. This will be the first attempt to analyze administrative cases in Georgian courts.

Our legal staff now includes a total of eight full time lawyers, one fulltime intern and seven court monitors work in our two offices.

**Advocacy**



TI Georgia is undertaking an active advocacy campaign with other partners of JILEP in the Coalition for an Independent and Transparent Judiciary. This coalition was formed in April 2011 with 30 member NGOs. The goal of the coalition is to strengthen the capacity of legal professional associations, legal rights NGOs, business associations, and the media to monitor relevant judicial practices and advocate for an independent judiciary.





იურისტის, ერთი სრული დატვირთვის სტაჟიორისა და 7 სასამართლო მონიტორის მეშვეობით ფუნქციონირებს.

**ადვოკატირება**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ JILEP-ის სხვა პარტნიორებთან ერთად, რომლებიც გაერთიანებულნი არიან კოალიციაში „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლსაჯულებისათვის“, ადვოკატირების აქტიურ კამპანიას ჩაატარებს. კოალიცია 30 წევრი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შეიქმნა 2011 წლის აპრილში. კოალიციის შექმნის მიზანია მიმდინარე სასამართლოს რეფორმების მონიტორინგისა და დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლოსთვის ადვოკატირების პროცესში პროფესიული იურიდიული ასოციაციების, იურიდიული უფლებების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს და პროფესიული ასოციაციების ძალისხმევის გაერთიანება.

ჩვენი ორგანიზაცია ორი სამუშაო ჯგუფის, სასამართლო ადმინისტრაციისა და უფასო იურიდიული დახმარების ჯგუფების წევრია. კენჭისყრის შედეგად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ უფასო იურიდიული კონსულტაციების ჯგუფის კოორდინატორად აირჩიეს.

მიუხედავად იმისა, რომ კოალიციის მიერ განსაზღვრული პრობლემური საკითხები ბოლომდე ვერ გადაიჭრა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ რამდენიმე მნიშვნელოვანი წინადადება გაითვალისწინა. მაგალითად, დაიხვეწა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ხმის მიცემის პროცედურა; განახლდა მოსამართლეთა პროფესიული სტანდარტები; სავალდებულო გახდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრების პოლიტიკური ნეიტრალურობა; დამტკიცდა ახალი რეგულირებები და შეზღუდვები მოსამართლეთა დანიშვნასა და გადაყვანასთან დაკავშირებით; ცვლილებები შევიდა დისციპლინარული პროცედურების წესებსა და გამჭვირვალობის მოთხოვნებში.

**წარმატების ისტორია: თერჯოლა**

საკუთრების უფლება აღიარებული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით. ქართული კანონმდებლობა მხოლოდ ერთ გამონაკლისს უშვებს, როდესაც საზოგადო ინტერესების დასაცავად, კერძო საკუთრების ექსპროპრიაცია შესაძლებელია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დასავლეთ საქართველოს ტეროტორიაზე ახალი გზატკეცილი დააპროექტა, რომელსაც, თერჯოლის რაიონის ერთ-ერთ სოფელში რამდენიმე საცხოვრებელ ტერიტორიაზე უნდა გაევლო. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო გახდა მიწის ნაკვეთების სოფლის მცხოვრებლებისაგან მიღება, რისთვისაც გზების დეპარტამენტმა მოლაპარაკებები დაიწყო.

სოფლის მცხოვრებლებმა საკუთრების უფლების დაცვის მოთხოვნით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიმართეს. მათი თქმით, ადგილობრივი მოსახლეობა განიცდიდა ზეწოლას, რომ მიწაზე უფლებები



TI Georgia is a member of two working groups within the coalition: the Court Administration Group and the Free Legal Aid Group. TI Georgia was elected as a coordinator of the Free Legal Aid Group by the other members of the group.

Even though the problems identified by the coalition have not been solved completely, Georgia's High Council of Justice (HCOJ) has acted on several very important proposals. The voting procedures within the HCOJ were optimized, professional standards for judges were updated, a requirement of political neutrality for the members of the HCOJ appointed by the President was introduced, new regulations and limitations to the assignment and transfer of judges were introduced and amendments to the rules and transparency of disciplinary proceedings were included.

**2011 Success Story: Terjola**

Property rights are recognized and guaranteed by Article 21 of the constitution. Georgian legislation provides only one exception to this rule, allowing private property to be expropriated from the owner only to serve the public interest.

The Motor Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia proposed building a new highway in the western part of the country. The road was planned to go through several residential areas, including one village in Terjola district. For the realization of the project, it was necessary to take over a number of land plots from the villagers and the Motor Roads Department started negotiating with them.

Some of the land owners affected by the project contacted TI Georgia and claimed that their property rights were being violated. According to their statements, the locals were pressed to transfer the land ownership to the state for minimal compensation and not to apply to the courts in case of dispute. A group of lawyers from ALAC travelled to western Georgia and visited the village. The lawyers gathered information from the landowners and met with local officials. Aside from actual rights violations, the ALAC team also found that the villagers were not well aware of the legal rules and procedures and that they often misinterpreted the Motor Roads Department's actions. After studying the case, the lawyers distributed information sheets and leaflets with the major rules of

მინიმალური კომპენსაციის სანაცვლოდ დაეთმო, და დავის შემთხვევაში, არ მიემართა სასამართლოსათვის. ALAC-ის ჯგუფი ჩავიდა დასავლეთ საქართველოში. იურისტებმა ინფორმაცია მოიპოვეს მიწის მფლობელებისაგან და შეხვდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. რეალური დარღვევების გარდა, აშკარა გახდა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები ინფორმირებულნი არ იყვნენ იურიდიული წესებისა და პროცედურების შესახებ და გზების დეპარტამენტის ქმედებებს ხშირად არასწორი ინტერპრეტაცია მისცეს. საქმის შესწავლის შემდეგ, ადვოკატებმა გაავრცელეს საინფორმაციო ბროშურები შესაბამისი კანონმდებლობის ძირითადი მუხლებით და მიწის მფლობელებს მიაწოდეს ინფორმაცია საკუთარი უფლებების, თავისუფლებებისა და ექსპროპრიაციასთან დაკავშირებული იურიდიული პროცედურების შესახებ.

ALAC - ის იურისტები შეხვდნენ საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლებს და დეტალურად განიხილეს ყველა პრობლემური საკითხი და მათი გადაჭრის გზები. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ გაავრცელა განცხადება პროცესის მიმდინარეობის, მთავარი გამოწვევებისა და დარღვევების შესახებ. ინფრომაცია ორგანიზაციის მონაწილეობის შესახებ ფართოდ გავრცელდა ადგილობრივ მოსახლეობაშიც, რამაც სტიმული მისცა მათ პრობლემების გადაჭრის უკეთესი გზები მოეძებნათ.

გზების დეპარტამენტის ადეკვატურმა რეაგირებამ მოლაპარაკებების პროცესში დადებითი ცვლილებები შეიტანა. გარკვეული ღონისძიებები გატარდა იურიდიულ საკითხების შესახებ მიწის მფლობელთა ცნობიერების ასამაღლებლად. შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობა თანამშრომლობისთვის განეწყო, რის გამოც, დავების უმრავლესობა გადაწყდა. საბოლოოდ, მიწის მფლობელებმა უკეთესი ანაზღაურება მიიღეს და არც გზატკეცილის პროექტი შეფერხებულა ხანგრძლივი სასამართლო მოსმენების გამო.

## დახმარების ეფექტურობის ხელშეწყობა, მეორე ფაზა

**დონორი: ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“**
**ხანგრძლივობა: 1 ივლისი, 2010 – 31 ოქტომბერი, 2011**

2011 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ განაგრძო დევნილთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის პროცესზე დაკვირვება. ჩვენ გავაფართოვეთ დაკვირვების არეალი და 90 წლებში გაჩენილ დევნილთა პირველი ნაკადისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროცესიც მოვიცავით. 2011 წლის მარტი-მაისის თვეებში ჩვენი მკვლევართა ჯგუფი დასავლეთ საქართველოში დევნილთა 22 კოლექტიურ ცენტრს ესტუმრა და დაახლოებით 90 იძულებით ადგილნაცვალ ოჯახს გაესაუბრა სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხისა და დევნილთა ზოგადი დამოკიდებულების შესასწავლად.

მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა უმრავლესობამ, რომელსაც ჩვენი გუნდი გაესაუბრა, განაცხადა, რომ რეაბილიტაციის შემდეგ მათი სახლები უკეთეს მდგომარეობაშია, კოლექტიური

the relevant legislation and informed the landowners about their rights and freedoms and about all the necessary legal procedures of expropriation.

ALAC lawyers met the officials in charge of the highway program at the Motor Roads Department. At this meeting all the problems, issues and challenges surrounding the highway project were discussed in detail and solutions were found together. Based on the gathered information, TI Georgia issued a statement about the ongoing process and all the major challenges and violations that were taking place regarding the project. TI Georgia's involvement encouraged the local population to try to find better solutions to their problems.

The Motor Roads Department reacted adequately and changed the negotiation process for the better. It also took some measures to increase the legal awareness of the landowners. As a result, the villagers started cooperating and most of the disputes were settled. Consequently, the landowners received better compensation and the highway project was not interrupted by long court cases.

## MAKING AID WORK FOR GEORGIA

Donor : Open Society Georgia Foundation
Duration: 1 July 2010 – 31 October 2011



Throughout 2011, TI Georgia continued monitoring the provision of durable housing to internally displaced persons (IDPs) and expanded its focus to housing rehabilitation projects, targeting the first wave of IDPs who had had to leave their homes during the early 1990's.

From March to May 2011, our research team conducted a series of site visits to a total of 22 rehabilitated collective centers in western Georgia and talked to approximately 90 IDP households in order to assess the quality of renovation works in those sites and to grasp IDPs' general attitudes towards the renovations.





ცენტრების უდიდეს ნაწილში რეაბილიტაციის შემდგომი სერიოზული დეფექტები გამოვლინდა; კერძოდ, სადრენაჟო სისტემის გაუმართაობით გამოწვეული სინესტე და ობი შენობებს სერიოზულ საფრთხეს უქმნის; იგივე შეიძლება ითქვას საკანალიზაციო სისტემებზეც, რომელთაც, საფუძვლიანი რეაბილიტაცია არ შეხებია; უმთავრესად გამოყენებული იყო დაბალი ხარისხის სამშენებლო მასალები; მუნიციპალური განვითარების ფონდმა, რომელსაც აღნიშნულ პროცესში მთავარი მაკონტროლებლის როლი აკისრია, და სამშენებლო კომპანიებმა რეაბილიტაციისას დაშვებული ხარვეზები ერთწლიანი საგარანტიო ვადის ამოწურვამდე ვერ აღმოფხვრეს; რეაბილიტირებულ ცენტრებში პრივატიზაციის პროცესი შეფერხებებით მიმდინარეობს, რაც დევნილების უკმაყოფილებას იწვევს.

აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით, 2011 წლის სექტემბერში გამოვაქვეყნეთ ანგარიში „ანგარიშვალდებულება დახმარების განხორციელებისას – კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში”. ანგარიშში წარმოვაჩინეთ რეაბილიტირებულ კოლქტიურ ცენტრებში გამოვლენილი პრობლემები და წარმოვადგინეთ რეკომენდაციები მთავრობისა და დონორებისათვის მათი გამოსწორებისა და დევნილთა უკეთესი მომსახურებისათვის. კერძოდ, **მთავრობამ უნდა დახვეწოს ხარისხის კონტროლის მექანიზმები, რათა შესაბამისმა სამშენებლო კომპანიებმა სრულად აღმოფხვრან რეაბილიტაციის შემდგომი მეორადი ტიპის დეფექტები. თავის მხრივ, დონორებმა უნდა გაამკაცრონ კონტროლი დევნილებისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლებისათვის გამოყოფილი თანხის ხარჯვის მიზნობრიობაზე, განსაკუთრებით სარეაბილიტაციო პროექტების დიზაინისა და დეტალების კუთხით და მთავრობისაგან მიღებული გადაწყვეტილებების უფრო მკაფიო დასაბუთება მოითხოვონ.**

2011 ოქტომბერში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ პროექტის ფარგლებში დასკვნითი კვლევა გამოაქვეყნა „იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისთვის გაწეული დახმარების კოორდინაცია საქართველოში (2008–2011)”, სადაც თავმოყრილი და დოკუმენტირებული იყო ჩვენს მიერ დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესზე 2.5 წლიანი დაკვირვების შედეგები.

While the majority of IDPs TI Georgia staff spoke with said that the renovated buildings looked better than before, most of the collective centers visited revealed a number of serious post-renovation defects: dampness and mould is a major structural problem that appears to be caused by defective drainage systems; the same holds true for the outdated sewage infrastructure that did not seem to have undergone significant renovation; building materials and repair works were not of high quality; the Municipal Development Fund – the main supervising agency of IDP housing rehabilitation projects – and the construction companies failed to fix renovation defects within the one year liability period; and, finally, delayed self-privatization of renovated collective centers remains a major issue of concern for IDPs.

Based on these findings, in September 2011, we published the report Accountability in Aid Delivery – The Renovation of Collective Centers for Georgia's Internally Displaced Persons, which categorized the problems identified in the renovated collective centers and provided a set of recommendations for the government and the donors to address these problems and provide better service delivery to IDPs.
Specifically, **THE GOVERNMENT SHOULD IMPROVE ITS QUALITY ASSURANCE AND VERIFICATION MECHANISM TO ENSURE THAT CONSTRUCTION COMPANIES FULLY RECTIFY ALL DEFECTS IN THEIR WORK AT RENOVATED COLLECTIVE CENTERS. THE DONORS, FOR THEIR PART, NEED TO HAVE STRICTER CONTROL OVER THE WAY FUNDING FOR IDP HOUSING IS SPENT, ESPECIALLVY OVER THE DESIGN AND DETAILS OF PROJECTS , AND SHOULD REQUIRE STRONGER EVIDENCE-BASED DECISION-MAKING FROM THE GOVERNMENT**

In October 2011, TI Georgia published the final study within the Making Aid Work for Georgia project – Assessment of aid coordination for IDP housing in Georgia, 2008-2011 – which documented and consolidated our observations over two and a half years monitoring the provision of durable housing to IDPs. The report focused on the interactions between four sectors – government, donors, aid agencies and civil society – to understand how aid is coordinated in the IDP housing sector and how the outcomes of this aid are affected. Our findings revealed that the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Accommodation and Refugees (MRA), which is supposed to be a leading agency of aid coordination in the field, suffers from a lack of financial and political support from the executive leadership that hinders the MRA in assuming its leading role. We also concluded that IDP housing assistance needs more accurate planning coupled with the assurance of long-term commitments of funding from donors.

ჩვენი მედია მონიტორები განიხილავენ და შაფასებენ ცხრა სატალევიზიო არხის საღამოს ეთერში გასულ სიახლეებს. მათ მიერ მომზადებული მოკლე მიმოხილვა, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო და ანალიტიკური მასალა ყოველ დილას განთავსდება telekritika.ge-ზე. მაყურებელს საშუალება ექნება გაეცნოს სხვადასხვა არხის ეთერში გასულ ინფორმაციას და შეადაროს, როგორ გააშუქა ესა თუ ის საკითხი ერთი და იმავე მაუწყებელმა. საიტი საშუალებას აძლევს მოქალაქეებს ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია, რომელიც მათი მხედველობის მიღმა დარჩა, ან არასწორი აღმოჩნდა; ასევე, რა სიახლე იყო მათთვის საიტერესო და, მათი აზრით, რომელ საკითხს უნდა დაეთმოს მეტი ყურადღება.

თამაშის ელემენტები ხელს უწყობს საიტის მომხმარებელს აქტიური კონტაქტი ჰქონდეს ვებ გვერდთან და ჩაებას დისკუსიაში. იმედი გვაქვს, საიტი მოქალაქეებს დაეხმარება, უკეთ გაიაზრონ ტელევიზიის როლი და გავლენა, რის შედეგადაც გაიზრდება მოთხოვნა უკეთესი ხარისხის, ობიექტურ და პოლიტიკურად დამოუკიდებელ მედიაზე, რომელიც მაყურებლის ინფორმირებასა და მმართველი გუნდის ანგარიშვალდებულების გაზრდაზეა ორიენტირებული.

## გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული პოლიტიკური ფინანსები საქართველოში: 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პარტიათა დაფინანსების და სახელმწიფო რესურსების არამიზნობრივი ხარჯვის მონიტორინგი

**დონორები: საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES)**
**ფონდი „ღია საზოგადოებას - საქართველო“ (OSGF)**
**ხანგრძლივობა: 10 ნოემბერი, 2011 – 30 მარტი, 2013**

2011 ნოემბრიდან „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ახორციელებს პროექტს პოლიტიკური ფინანსების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს 1) სახელმწიფო რესურსების არამიზნობრივი გამოყენებისა და 2) პარტიების ფინანსების მონიტორინგს. რეგიონულ ჟურნალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობით პროექტი შეეცდება, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ჟურნალისტები მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩართოს მონიტორინგში, რომელიც დააკვირდება:

1. სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანხების ბოროტად გამოყენებას ამომრჩევლის მოსყიდვისაკენ მიმართული პროგრამებისა და ინიციატივების დასაფინანსებლად;

**Become a TV critic!**

TV news remains by far the most important source of information on current events for Georgians and is used to shape the country's political agenda. As television remains highly politicized, most news on national TV is presented with a strong pro-government bias, while some smaller local stations present a strong anti-government narrative. Thus, it remains almost impossible for viewers to get a balanced view of political and socio-economic developments in the country.
In a pilot project to promote media literacy, reflection and discussion on the realities presented on TV, we have been working to develop http://telekritika.ge, which will go online in spring 2012. Our media monitors will watch and summarize the news as they are presented in the evening newscasts of nine different TV channels. These summaries, along with additional analytical and educational material, will be posted on telekritika.ge every morning. Users can easily read up on what different channels reported and compare how the same issue was covered by various stations. The site is designed to encourage users to share their thoughts on which topics should receive more attention, which reports they found misleading and what news items they found interesting. Game elements will encourage users to interact with the website and contribute, share their thoughts and engage in discussions. We hope that Telekritika will help to improve citizens' understanding of the power of television, stimulating demand for better, fair and non-partisan news reporting that is truly informative and holds leaders accountable.

## TRANSPARENT AND ACCOUNTABLE POLITICAL FINANCE IN GEORGIA: MONITORING THE ABUSE OF STATE RESOURCES AND POLITICAL FINANCES AROUND THE 2012 PARLIAMENTARY ELECTIONS

**Donors: International Foundation for Electoral Systems (IFES) and Open Society Georgia Foundation (OSGF)**

**Duration: 10 November 2011 – 30 March 2013**

In November 2011, TI Georgia launched a political finance project to monitor the abuse of state resources as well as the financing of political parties and their 2012 campaigns.
In close cooperation with NGOs, journalists, political parties and state agencies, the monitoring of the abuse of state resources will involve:
- focusing on the manipulation and misuse of state and local budgets to finance programmes and activities that aim at "buying off" voters shortly before the elections;
- observing tendencies of using public personnel or goods for party purposes that blur the line between the ruling party and the




2. საჯარო მოხელეებისა და საქონლის პარტიის მიზნებისათვის გამოყენებას, რაც აფერმკრთალებს ზღვარს მმართველ პარტიასა და მთავრობას შორის და სხვა პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ ზემოაღნიშნულ რესურსზე, არათანაბარ პირობებში აყენებს მმართველ პარტიასთან შედარებით.

3. პარლამენტარების მიერ საკუთარი მანდატის გამოყენებას კანონებისა და რეგულირებების იმგვარად შესაცვლელად, რომ გავლენა მოახდინონ საკუთარ როლსა და საქმიანობაზე საარჩევნო კამპანიის პროცესში.

4. სახელმწიფო მოხელეების ან ორგანოების მხრიდან ნებისმიერი სახის ზეწოლას ან არალეგალურ საქმიანობას, ამომრჩევლების ან კანდიდატების დაშინების მიზნით. პარტიების დაფინანსების მონიტორინგი საკითხის პრაქტიკული მხარის გარდა, ყურადღებას ამახვილებს მონაცემთა ანალიზზეც. ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების მონიტორინგისაგან განსხვავებით, პარტიების დაფინანსების მონიტორინგი შეისწავლის ყველა პოლიტიკური პარტიის ხარჯებს. კვლევა დაეფუძნება მონიტორინგის პირდაპირ მეთოდს, ანუ დაკვირვებას, კამპანიის ღონისძიებებსა და რეკლამებთან დაკავშირებული დოკუმენტების მოპოვებას და ამ სფეროში არსებულ ხარჯების შეფასებას. მეორადი მონაცემები შეგროვდება პარტიების კამპანიის დროს გამოყენებულ მასალებზე დაყრდნობით, მედიაში არებული ანგარიშებისა და სხვა წყაროების საფუძველზე. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებითან დაკავშირებული ფინანსური მონაცემების მონიტორინგთან ერთად შესწავლილი იქნება პარტიების წლიური ანგარიშებიც.

პარალელურად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ გააანალიზებს და შეაფასებს საქართველოს ახალ საააარჩევნო და პარტიების დაფინანსების საკითხთან დაკავშირებულ კანონმდებლობას და შეიმუშავებს რეკომედაციებს მისი გაუმჯობესებისთვის. დამატებით, შევისწავლით შერჩეული ქვეყნების გამოცდილებას იმ სფეროებში, სადაც პრობლემები კვლავ არსებობს, რათა საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება ხელმისაწვდომი იყოს.

government, thus creating unequal conditions between the ruling party and all other political parties, who do not have access to these resources;

- monitoring cases of policymakers who misuse their mandate by passing laws or changing regulations that affect their roles and activities as public officials in a way that is relevant to the campaign;

- documenting pressure or illegal activities committed by state officials or bodies in order to intimidate voters or candidates.

Party finance monitoring will be focused on practical aspects of monitoring as well as on data analysis. Unlike abuse of state resources monitoring, party finance monitoring will look at the expenses of all political parties. The research will be based on direct monitoring,
i.e. through observing and documenting campaign events, advertisements and estimated expenses in the field. Secondary data will be collected from parties' campaign materials, media reports and other sources. Along with monitoring financial data during the 2012 parliamentary elections, we will monitor annual party reports as well.

In parallel, TI Georgia will analyze Georgia's new election and party finance legislation and will provide assessment of the existing legal environment in the area and issue recommendations in order to improve it further. In addition, international experience from selected countries will be studied in the areas where problems still exist in order to back up our recommendations with existing best practices and experiences.




## კორუფციის აღქმის ინდექსი 2011

“საერთაშორისო გამჭვირვალობის” სამდივნო მთელი მსოფლიოს მასშტაბით რეგულარულად აქვეყნებს ორ კვლევას. ესენია: კორუფციის აღქმის ინდექსი (CPI) და გლობალური კორუფციის ბარომეტრი (GCB).

“კორუფციის აღქმის ინდექსი” ყოველწლიურად ახდენს ქვეყნების რანგირებას იმის მიხედვით, თუ რამდენად კორუმპირებულად აღიქმება საჯარო სექტორი ამა თუ იმ ქვეყანაში. ეს საკმაოდ კომპლექსური ინდექსი რამდენიმე გამოკითხის და კვლევის შედეგია. კვლევები და გამოკითხვები, რომლებიც ინდექსის გამოყვანისას გამოიყენება, ცნობილ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს ეკუთვნის. კორუფციის აღქმის ინდექსის გამოთვლისას ასევე იყენებენ იმ ბიზნესმენებისა და მეცნიერების შეფასებებს, რომლებიც ცხოვრობენ ან მუშაობენ მოცემულ ქვეყანაში.

2011 წლის 1 დეკემბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ კორუფციის აღქმის 2011 წლის ინდექსი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც საქართველომ 183 ქვეყანას შორის 64–ე ადგილი დაიკავა. ამ ბოლო რანგირების მიხედვით, რომელიც საჯარო სექტორში კორუფციის აღქმის დონეს განსაზღვრავს, საქართველომ 10–ბალიან სკალაზე (10 ქულა ძალიან სუფთას აღნიშნავს, ხოლო 0 ქულა – ძალიან კორუმპირებულს) 4.1 ქულა მიიღო. 2010 წელს საქართველოს ქულა 3.8 იყო და 178 ქვეყანას შორის 68–ე ადგილი ეკავა.

**2011 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსი“ აჩვენებს, რომ კორუფციის აღქმის დონე საქართველოში უფრო დაბალია, ვიდრე ევროკავშირის წევრ რამდენიმე ქვეყანაში, როგორიცაა სლოვაკეთი, იტალია, საბერძნეთი, რუმინეთი და ბულგარეთი. საქართველოში კორუფციის აღქმის დონე ასევე უფრო დაბალია, ვიდრე ხორვატიაში, რომელიც სულ მალე ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდება, და ბალკანეთის სხვა ქვეყნებში.**



## CORRUPT ION PERCEPT IONS INDEX 2011

The Transparency International Secretariat regularly produces two surveys on corruption around the world which cover Georgia: the Corruption Perceptions Index (CPI), and the Global Corruption Barometer (GCB).
Every year, the CPI ranks countries/territories based on how corrupt their public sector is perceived to be. It is a composite index – a combination of several polls and surveys – drawing on corruption-related data collected by a variety of reputable institutions. The CPI reflects the views of observers from around the world, including business people and experts living and working in the countries/territories evaluated.
In the 2011 CPI, Georgia ranks 64th out of 183 countries. In this latest ranking, Georgia scored 4.1 on a scale from 10 (very clean) to 0 (highly corrupt). In 2010, Georgia scored 3.8, ranking 68th out of 178 countries.

**THE NEW CPI SHOWS THAT PERCEIVED CORRUPTION IN GEORGIA IS LOWER THAN IN SEVERAL EUROPEAN UNION MEMBER STATES, INCLUDING SLOVAKIA, ITALY, GREECE, ROMANIA AND BULGARIA, AND LOWER THAN IN CROATIA, THE NEXT COUNTRY TO JOIN THE EU, AND THE OTHER COUNTRIES IN THE WESTERN BALKANS.**





# პოპულარული ბლოგები
# POPULAR BLOGS 2011

## საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს საინვესტიციო გარემოზე

28 დეკემბერი 2011

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გააანალიზა ის სამართლებრივი და ეკონომიკური შედეგები და საფრთხეები, რომლებიც საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის სამართლებრივი მოწესრიგების ახალი წესის ამოქმედებას მოჰყვება. ეს საფრთხეები საყურადღებოა, თუ გავითვალისწინებთ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის შემდეგ ზოგიერთ საფინანსო ინსტიტუტთან დაკავშირებით მომხდარ ფაქტებს. ორგანიზაციის აზრით, პირველი რიგის იპოთეკარის განსაზღვრის ახალი წესი გავლენას მოახდენს ქართულ საფინანსო ინსტიტუტებზე და მსესხებელ სუბიექტებზე და მათი საქმიანობისთვის არახელსაყრელ გარემოს შექმნის. აღნიშნული წესი, ასევე, უარყოფით გავლენას მოახდენს უცხოურ ინვესტიციებსა და საქართველოს მთელ საფინანსო და ეკონომიკურ სისტემაზე. კერძოდ:

მსესხებლის მიერ გირაოს სახით ჩადებული ქონება ვეღარ გახდება ქართული ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტებითვის სესხის უზრუნველყოფის საშუალება, რადგან საგადასახადო ორგანომ ნებისმიერ დროს შეიძლება აღმოაჩინოს, მაგალითად, რომელიმე ბანკის კლიენტის დავალიანება სახელმწიფოს მიმართ, რომელიც ბანკში ქონების ჩადებამდე წარმოიშვა;

სერიოზული რისკის მატარებელი ხდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ქართული საბანკო თუ არასაბანკო ინსტიტუტებისათვის გაცემული სესხები. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება რისკის ქვეშ აყენებს ქართული საფინანსო ინსტიტუტების, როგორც საქმიანი პარტნიორების, ნდობის ხარისხსა და ღირებულებას საერთაშორისო მასშტაბით;

მსესხებლის ქონება აღარ იქნება სანდო, რადგან საჯარო რეესტრის ამონაწერიდან მიღებული ინფორმაცია მსესხებლის ვალის არარსებობის შესახებ აღარ არის დამაჯერებელი. შესაბამისად, სესხის გაცემისათვის ბანკები, სავარაუდოდ, უკვე მოითხოვენ დამატებით სახსრებს, როგორც უზრუნველყოფის საშუალებას;

აღნიშნული ცვლილებებით საკუთრების უფლება ილახება. ამის გამო, გამსესხებელმა შეიძლება მოითხოვოს ან დამატებითი ფულადი სახსრების დარეზერვება საქართველოს ფარგლებს

## TAX CODE AMENDMENTS TO HAVE NEGATIVE IMPACT ON GEORGIAN INVESTMENT ENVIRONMENT

28 December 2011

Transparency International Georgia has analyzed the legal and economic implications and threats that could arise following the entry into force of the new regulations of tax liens. This has become particularly obvious now that we are witnessing how the aforementioned amendments are being applied in practice to certain financial institutions. We believe that the new rules for determining the priority of liens will have a serious negative impact on financial institutions and borrowers in Georgia, and will create an unfavorable environment for them. Moreover, these rules will also have a negative impact on foreign investment, as well as the

Georgian financial and economic system as a whole. In particular: Georgian banks and other financial institutions can no longer reply on the assets of borrowers as collateral because there is now the possibility that this collateral will be superseded by a tax lien discovered by the Tax Authority, even if the borrower had no tax obligations at the time the financial institution’s collateral was registered;

The loans given to the Georgian banks or non-banking entities (industrial companies, etc.) by international financial institutions (IFIs) will bear serious risks. The amendments also undermine the credibility and value of Georgian financial institutions, as business partners on international stage;

Borrower’s property will no longer be reliable as collateral, because a document from the public registry about the absence of borrower’s liens will no longer guarantee anything. Consequently, the banks are likely to request additional collateral before issuing a loan;

The amendments are an infringement on property rights. For this reason, the creditor might require additional collateral outside Georgia or a guarantee from a company that operates outside the country. As a result, it will become even harder for a Georgian borrower to get a loan;

The amendments will also affect on foreign investment. The largest foreign investments in Georgia, are often financed by IFIs (OPIC, EBRD, IFC, ADB). Such loans used for financing

გარეთ, ან იმ კომპანიის გარანტია, რომელიც საქმიანობას სხვა სახელმწიფოში ახორციელებს. შესაბამისად, ქართველი მსესხებლის მიერ კრედიტის მიღება უფრო გაძნელდება; გართულდება უცხოური ინვესტიციების შემოსვლა საქართველოში, რაც ძირითადად სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის (OPIC, EBRD, IFC, ADB) საშუალებით ხორციელდება. აღნიშნული ცვლილებით იზრდება ქვეყანასთან დაკავშირებული რისკები - საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ვეღარ ენდობიან საქართველოში არსებულ უზრუნველყოფის საშუალებებს, შესაბამისად, მათ აღარ ექნებათ სურვილი რომ გასცენ სესხები უცხოელ ინვესტორებზე საქართველოში რეგისტრირებული ქონების საფუძველზე, რაც გრძელვადიან პერიოდში არსებითად შეამცირებს უცხოური ინვესტიციების, განსაკუთრებით „დასავლური" და არასახელმწიფო ინვესტიციების, მოცულობას; საკრედიტო პირობების დამძიმების შედეგად ეკონომიკაში განსახორციელებელი უცხოური ინვესტიციების შემცირება უარყოფით გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, რამაც უმუშევრობის გაზრდაც შეიძლება გამოიწვიოს.
„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიაჩნია, რომ ზემოთ ხსენებული რისკების შეფასება ჯერ კიდევ აღნიშნული საგადასახადო ცვლილებების მიღებამდე უნდა მომხდარიყო. ვფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ შესაძლო პრობლემებისა, რომელიც საქართველოში ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს შეიძლება შეექმნათ. გვსურს მოვუწოდოთ ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებს დაგვიკავშირდნენ და გვაცნობონ თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

## ბათუმის ანტისამთავრობო პროტესტის მონაწილეებს გრძელვადიანი სასჯელი ემუქრებათ

სასამართლოს დამოუკიდებლობის პრობლემაზე საქართველოში ბევრი საუბრობს. არსამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები უკანასკნელ პერიოდში ხშირად აღნიშნავენ, რომ საქართელოს დემოკრატიული განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს არსებობა. "საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოც" თვლის, რომ სასამართლოს სისუსტე პარლამენტის სისუსტესთან ერთად აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძალაუფლების გადამეტების უდიდეს საფრთხეს ქმნის. საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში ხშირია საუბარი საქართველოში შერჩევითი სამართლის არსებობაზე, რის გამოც ისინი საქართველოს კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვისკენ მოუწოდებენ. ქვემოთ მოყვანილია ბათუმში 22 მაისს საპროტესტო აქციებისას დაკავებული 7 მოქალაქის საქმის დეტალები. სასამართლო მოსმენები ამ საქმის გარშემო ჯერ კიდევ გრძელდება და საქართველოს სასამართლოში კომპლექსური პრობლემების არსებობის კარგი მაგალითია.




foreign investment in Georgia are almost always secured by Georgian assets that the foreign investor has acquired as part of investment. Now the aforementioned amendments increase the risks associated with the country and IFIs will no longer rely on the security of such Georgian collateral. Therefore, they will not be willing to loan to foreign investors based on property registered in Georgia. This will essentially reduce the amount of foreign investment, especially "western" and non-governmental investment;

The reduced amount of potential foreign investment, resulting from the tightening of credit terms (because of the unreliability of collateral) will have a negative impact on the country's economic development and could also increase unemployment.

Transparency International Georgia believes that the aforementioned risks should have been assessed before the amendments to the Tax Code were adopted. This is only a short list of the potential problems that the local and foreign investors might face in Georgia. In this regard, we urge representatives of the business sector to contact us and share their opinion on these issues.

## BATUMI ANTI-GOVERNMENT PROTESTERS COULD FACE MANY YEARS IN PRISON

There has been significant discussion about the lack of judiciar independence in Georgia. Non-governmental and international organizations, as well as representatives of other countries have recently put a particular emphasis on the importance of an independent judiciary as a key pillar of democracy. A weak judiciary, along with a weak parliament, is a threat for possible abuse of power by the executive branch of the government. Reports by various international organizations frequently mention the selective enforcement of law and call for the application of Georgia's supreme principles. In this blog, we are describing a particular case in detail, about seven persons arrested during manifestation in Batumi on the 22nd of May. Court hearings related to this case continue to date and represent an example of the complex problems in the judiciary.

Confess, and you will get two years in jail and a fine of GEL 2,000 - these conditions were offered by the prosecutor to seven protesters, David Partenadze, Vakhtang Sioridze,





"აღიარების შემთხვევაში ორწლიანი სასჯელი და 2000 ლარის ოდენობის ჯარიმა შესთავაზა ბათუმში, პროკურორმა პროტესტის 7 მონაწილეს – დავით პარტენაძეს, ვახტანგ სიორიძეს, ანზორ სოლომონიძეს, გოჩა მუხაშავრიას, დიმა ჭეიშვილს, ხვიჩა გამარჯობაძეს და ტარიელ ფუტკარაძე" - გვითხრა ბრალდებულთა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა, მზია დიასამიძემ.

საპროტესტო აქციის მონაწილეებს ბრალი ედებათ აჭარის ტელევიზიის შენობის შესასვლელის ბლოკირებაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 222–ე მუხლის თანახმად, სასჯელის მისჯის შემთხვევაში პროტესტის მონაწილეებს სულ მცირე ორი წლის ციხეში გატარება მოუწევთ. ამასთანავე, დაკავებულებს სისხლის სამართლის 353–ე მუხლის თანახმად პოლიციისათვის წინააღდეგობის გაწევის ბრალდება წაუყენოს, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადიტ ოთხიდან შვიდ წლამდე.

ბრალდებულთაგან რამდენიმემ 7 სექტემბერს შემდგარ სასამართლო მოსმენამდე უკვე სცადა პროკურორთან საპროცესო გარიგების დადება. საპროცესო შეთანხმებების პრაქტიკა ფართოდ არის გარცელებული საქართველოში სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებაში.
„ამ შემთხვევაში, შეთანხმება საპროცესო გარიგების თაობაზე ჯერჯერობით ვერ შედგა, რადგან ბრალდების მხარე დაჟინებით ითხოვდა ბრალდებულების ციხეში მოთავსებას სულ მცირე 2–3 წლით", აცხადებს დიასამიძე. ივლისში, ერთ - ერთმა ბრალდებულმა, ტარიელ ფუტკარაძემ თავი დამნაშავედ სცნო ტელეკომპანიის ბლოკირებაში, ის აგრეთვე დათანხმდა ჩვენება მიეცა დანარჩენი ბრალდებულების წინააღმდეგ და შედეგად, საპროცესო გარიგებით ციხიდან გათავისუფლდა, თუმცა პროცესებს მაინც ესწრება.

უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო გარიგების პრაქტიკა დღემდე ფართოდ გამოიყენება საქართველოს სასამართლო სისტემაში. ევროსაბჭოს ანგარიშისთანახმად, 2010 წელს, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმეთა 98.3% დასრულდა გამამტყუვნებელი განაჩენით საპროცესო გარიგებების ჩათვლით. პირველი ინსტანციის სასამართლომ 4,089 ადამიანის წინააღმდეგ მოისმინა საქმე; აქედან 0.2% გაამართლა, ხოლო 12% ნაწილობრივ გაამართლა. სასამართლოში არებულ პრობლემებს ეხება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ერთ–ერთი ბოლო კვლევა საპროცესო შეთანხმების შესახებ. კვლევის შედეგად ორგანიზაციამ დაადგინა, რომ საქართველოს სასამართლო სისტემას აკლია გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და დამოუკიდებლობა.

პროტესტის მონაწილეთა დაკავება პროკურატურის მხრიდან გამართლებულია მტკიცებით, რომ ამ ადამიანებმა მოახდინეს აჭარის ტელევიზიის ბლოკირება, მაშასადამე, ხელი შეუშალეს ნებისმიერ ადამიანს შენობის დატოვებასა და მასში შესვლაში. თუმცა, გაზეთი „ბათუმელები", რომელიც მუდმივად ადევნებდა თვალს აღნიშნულ საქმეს, წერს, რომ აჭარის ტელევიზიას სინამდვილეში ორი შესასვლელი აქვს. გაზეთმა აგრეთვე გაავრცელა მცირე ვიდეოჩანაწერი, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ იყენებენ აჭარის ტელევიზიის თანამშრომლები უკანა შესასვლელს. აღნიშნული ეწინააღმდეგება აჭარის ტელევიზიის 5 ჟურნალისტის ვერსიას მომხდარის შესახებ. მათ გამომძიებლებს განუცხადეს, რომ სერიოზულ პრობლემებს წააწყდნენ თავიანთი პროფესიული საქმიანობის შესრულებისას,

Anzor Solomonidze, Gicha Muxashavria, Dima Tcheishvili, Khvicha Gamarjobadze, Tariel Putkaradze in Batumi, according to Mzia Diasamidze, a lawyer representing several of the accused.

The participants of the protest rally are accused of having blocked access to the building of Adjara TV, a broadcaster that is part of the local government in Batumi. If sentenced under Article 222 of the Georgian Criminal Code, the protesters could face two to four years in prison for having blocked access to a broadcaster. In addition, under Article 353 of the Georgian Criminal Code, the men could face four to seven years in prison for resistance against police.

Several of the accused have tried to negotiate plea bargaining agreements with prosecutors ahead of a court hearing that took place on September 7. Plea bargaining is widely used in Georgian criminal cases. In this case, no agreements were reached as the prosecution has insisted on at least two to three years of prison for the accused, according to Diasamidze. In July, one of the accused, Tariel Putkaradze, pleaded guilty of having blocked the state TV station, agreed to testify against the other protesters and was released from jail. Nonetheless, he continues to attend the court hearings.

Plea bargaining continues to be an extensively used practice in the Georgian judicial system. In 2010, Courts of First Instances had a 98.3% conviction rate, including plea agreements. Courts heard cases in a main hearing against 4,089 people, of which eight persons (0.2%) were acquitted and 54 (1.2%) were partially acquitted, according to a report by the Council of Europe. In a recent analysis, TI Georgia found that the Georgian judicial system suffers from shortcomings in transparency, accountability and independence.

The detention of the protesters is largely based on the prosecution's claim that the men blocked the entrance of Adjara TV and prevented anybody from exiting and entering the building. However, the weekly newspaper Batumelebi, which has been closely following the case, writes that the building of Adjara TV, in fact, has two entrances. The paper has also produced video footage showing employees of Adjara TV using the back entrance, contradicting five government-employed media workers who told investigators that they were facing serious problems in carrying out their professional duties because of the protesters in front of the building.

An Adjara TV producer, Tsira Surmanidze, argued that she could not send journalists to cover a story because of the protest outside the building. The director of Adjara TV testified in court that the second entrance to the building was mainly used by technicians and not by journalists. "The issue around the entrance is a real scandal and any statement on this may cost me my job", one Adjara TV employee who requested anonymity told Batumelebi. The court so far has not taken into account the results of the newspaper's research.

Three police officers, Amiran Devadze, Merab Abashidze, and Vakhtang Arzenadze testified as witnesses of the prosecution in court. Neither of them could name the policemen that were attacked by any of the accused; however, they said that




რადგან მომიტინგეებს შენობის წინ პიკეტი ჰქონდათ მოწყობილი.

აჭარის ტელევიზიის პროდიუსერი ცირა სურმანიძე აცხადებდა, რომ მან ვერ გაგზავნა ჟურნალისტი რეპორტაჟის მოსამზადებლად, რადგან შენობის გარეთ პროტესტი მიმდინარეობდა. აჭარის ტელევიზიის დირექტორმა სასამართლოს მოახსენა, რომ ტელევიზიის მეორე გასასვლელი ტექნიკური პერსონალის მიერ გამოიყენება და არა ჟურნალისტების მიერ. "საკითხის ირგვლივ დიდი სკანდალია აგორებული და ნებისმიერი განცხადება შეიძლება, სამსახურის დაკარგვის ფასად დამიჯდეს", – უთხრა ტელევიზიის ერთ - ერთმა თანამშრომელმა „ბათუმელებს" და ანონიმურობის დაცვა ითხოვა. სასამართლოს ჯერჯერობით არ მიუღია მხედველობაში გაზეთის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგები.

პოლიციის სამი თანამშრომელი: ამირან დევაძე, მერაბ აბაშიძე და ვახტანგ არძენაძე პროკურატურამ მოწმეებად დაიბარა. მათ თხოვეს, დაესახელებინათ რომელიმე პოლიციელი, რომელსაც ბრადლებულები თავს დაესხნენ, ვერცერთმა მოწმემ ეს ვერ შეძლო. თუმცა პოლიციელებმა თქვეს, რომ მათ კოლეგებს წიხლებს ურტყამდნენ და ხელს კრავდნენ. პოლიციელებმა განაცხადეს, რომ შეეძლოთ თავიანთი კოლეგების სახეების ამოცნობაც, რომელთაც მათი თქმით, თავს დაესხნენ. სამივე მოწმემ განაცხადა, რომ პოლიციელებს,

their colleagues had been physically attacked and shoved by protesters and that they would recognize the faces of colleagues who were hit. All three officers stated that the policemen who they claimed were beaten by the defendants were wearing civilian clothing during the incident.

One of the protesters' defendants had received information, claiming that one of the eye witnesses of the prosecution who was testifying against the protesters was not in Batumi on the day of the protests. Judge Vera Dolidze declined the lawyer's request, asking for the release of mobile phone tracking records to clarify if he actually was on the location of the protest on May 21.

The judge also did not satisfy the defense's request to question a representative of Adjara's Public Defender office who claimed that he saw one of the accused, Gocha M., in another part of the city at the time the protest took place, according to the defense.

Vakhtang Sioridze, one of the accused, pleaded guilty and asked the judge to set him free, arguing that his wife was suffering from advanced cancer and that he was the only bread-winner to feed his two kids. According to Dasamidze, Sioridze's lawyer presented a letter from his doctor, stating that his client is suffering from severe mental problems. The judge turned down the request and Sioridze remains in detention.





რომლებიც ბრალდებულთა თავდასხმას ემსხვერპლნენ, სამოქალაქო ტანისამოსი ეცვათ პროტესტის დღეს.

ერთ - ერთი მომიტინგის ინტერესების დამცველმა მიიღო იმის დამადასტურებელი ინფორმაცია, რომ პროკურატურის მიერ დასახელებული თვითმხილველი, რომელიც ერთ - ერთი ბრალდებულის წინააღმდეგ აძლევდა ჩვენებას, საპროტესტო გამოსვლების დღეს ბათუმში საერთოდ არ იმყოფებოდა. მოსამართლე ვერა დოლიძემ არ დააკმაყოფილა ადვოკატის მოთხოვნა, მობილური ტელეფონით გაკეთებული ჩანაწერების გამოქვეყნების თაობაზე. აღნიშნული ჩანაწერების მიხედვით შესაძლებელია 21 მაისს მოწმის რეალური ადგილმდებარეობის დადგენა.

მოსამართლემ აგრეთვე არ მისცა დამცველ მხარეს აჭარის სახალხო დამცველის ოფისის წამომადგენლის დაკითხვის უფლება, რომელიც ამტკიცებდა, რომ ერთ - ერთი ბრალდებული, გოჩა მუხაშავრია ქალაქის მეორე მხარეს დაინახა, მაშინ როდესაც ტელევიზიის წინ პროტესტი მიმდინარეობდა.

ვახტანგ სიორიძე ერთ - ერთი ბრალდებულია, რომელმაც ბრალი აღიარა და სთხოვა მოსამართლეს გათავისუფლება. მან მოსამართლეს მოახსენა, რომ მისი ცოლი კიბოს ბოლო სტადიით იტანჯება და მის გარდა ორშვილიან ოჯახს ვერავინ შეინახავს. ვახტანგ სიორიძის ადვოკატმა წარმოადგინა მისი ექიმის წერილი განცხადებით, რომ ბატონ ვახტანგს მენტალური პრობლემები აქვს. დიასამიძის თქმით, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ბრალდებულის თხოვნა და ის დღემდე დაკავებულია.

სასამართლოს დამკვირვებლების განცხადებით, მოსამართლე ვერა დოლიძემ არ დაუშვა ჟურნალისტებს სასამართლო მოსმენის აუდიო ჩაწერა გაეკეთებინათ. საქმე კვლავ განხილვაშია, ხოლო ბრალდებულებს 11 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ, (საქართველოს სამართლებრივი სისტემა სასჯელის შეკრების წესს ცნობს) თუკი ბრალი დაუმტკიცდათ.

გაზეთ „ბათუმელების" მთავარი რედაქტორის, ეთერ თურაძის თქმით, (ის აჭარის ტერიტორიაზე სასამართლო პროცესებს აშუქებს), მოსამართლე დოლიძე გამოირჩევა იმით, რომ იშვიათად გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი. „უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მახსოვს მხოლოდ ერთი გამამართლებელი განაჩენი, ის დოლიძემ რამოდენიმე კვირის წინ გამოიტანა"– ამბობს თურაძე.

საქართველოს სისხლის სამართლის საქმეებში გამამართლებელი განაჩენის ძალზედ მცირე რაოდენობა, სასჯელის მისჯა და საპროცესო გარიგებები იმდენად ხშირია პრაქტიკაში, რომ მხოლოდ იშვიათი გამონაკლისების გარდა სისხლის სამართლის სისტემა ფაქტობრივად „საპროცესო გარიგების სისტემადაა" გადაქცეული.

თუ ანტისამთავრობო დემონსტრაციებს დაესწრებიან, შასაძლოა, მრავალი წლით ციხეში აღმოჩნდენ, – უმნიშვნელოვანეს არჩევნებამდე ერთი წლით ადრე ასეთი საშიში, შესაძლოა, გახდეს ბათუმში მიმიდარე სასამართლო პროცესის გზავნილი საქართველოს მოქალაქეებისთვის თუ ის არ წარიმართა სრულიად სამართლიანად და მიუკერძოებლად.

Judge Vera Dolidze refused to allow audio recording by journalists inside the court room, according to court observers. The court case continues and the accused protesters could face seven to 11 years in prison (sentences for different crimes are added up in the Georgian legal system), if found guilty.
According to the editor-in chief of Batumelebi, Eter Turadze, who has closely followed court cases in Batumi, judge Dolidze is known for a low rate of acquittals in her cases. "In the past three years, I can only remember one non-guilty verdict, in a case a few weeks ago", Turadze says.
With the chances of an innocent verdict in Georgian criminal courts so slim, the charging, sentencing and plea bargaining arrangements are so discretionary in practice that in all but a few cases, the criminal justice system in fact is the plea bargaining system. This system, in which cases are settled for large but undisclosed amounts of money, is largely controlled by prosecutors.
In a year ahead of very important elections, cases like this one in Batumi, if not managed in a fair way, might be sending very dangerous signal to the Georgian population: If they attend antigovernment demonstrations, they could end up behind bars for years.

## ABSENT PARLIAMENTARIANS AND GHOST VOTING IN THE GEORGIAN LEGISLATURE

One of the basic principles of representative democracy is that legislators must cast their own votes. This ensures that they can be held accountable to their constituents during elections for their stance on new legislation.

The Rules of Procedures of the Parliament of Georgia (Georgian only) support this principle: they strictly state that MPs must be present in the plenary session (the period during which the entire Parliament assembles to discuss and vote on laws) during the voting process. The rules also specify that votes have equal weights and MPs are not allowed to delegate their right of vote (Rules of Procedures of Parliament of Georgia. Art. 140). Therefore, Mps are prohibited from using their absent colleagues' identification cards to cast a vote.

The penalty for breaching this rule is imposed on the holder of the ID card, not the MP doing the 'ghost voting,' i.e. casting a vote for a person not physically present. The penalty for the holder of the ID card is the withholding of one month's salary for the first violation, three months' salary for the second violation, and six months' salary for any subsequent violations (Rules of Procedures of Parliament of Georgia. Art. 264.8).

Nonetheless, observations have revealed that ghost voting is commonly and openly practiced in the Georgian legislature. TI Georgia staff have attended a number of plenary sessions

## გაცდენილი სხდომები და კენჭისყრის პულტებით მანიპულირება საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში

წარმომადგენლობითი დემოკრატიის ერთ - ერთ მთავარ პრინციპს კანონმდებლის მიერ საკუთარი ხმის თავად დაფიქსირება წარმოადგენს. ეს უზრუნველყოფს კანონმდებლის ანგარიშვალდებულებას საკუთარი ამომრჩევლის წინაშე და ასახავს მის დამოკიდებულებას ახალ საკანონმდებლო ინიციატივებთან მიმართებაში.

ზემოთმოხსენებულ პრინციპს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტიამყარებს. იგი მკაცრად განსაზღვრავს, რომ პარლამენტის წევრები ვალდებულნი არიან კენჭისყრის დროს იმყოფებოდნენ პლენარულ სხდომაზე (პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პარლამენტის მთლიანი შემადგენლობა იკრიბება საკანონმდებლო ნორმატიული აქტების განსახილველად და მათზე კენჭის საყრელად). რეგლამენტით გაწერილი პროცედურების მიხედვით, ყველა ხმას თანაბარი წონა აქვს, ამიტომ პარლამენტის წევრებს არ აქვთ თავიანთი ხმების დელეგირების უფლება (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 140). შესაბამისად, პარლამენტის წევრებს ეკრძალებათ ხმის მიცემა არდამსწრე კოლეგების საიდენტიფიკაციო ბარათების გამოყენებით.

ამ წესის დარღვევისთვის ჯარიმა ეკისრება საიდენტიფიკაციო ბარათის მფლობელს და არა იმ პარლამენტის წევრს, რომელიც მონაწილეობს „კენჭისყრის პულტებით მანიპულირებაში“, ანუ ფიზიკურად ადგილზე არმყოფი კოლეგის მაგივრად აძლევს ხმას. პირველი დარღვევისათვის ჯარიმა ითვალისწინებს საიდენტიფიკაციო ბარათის მფლობელისთვის ხელფასის ერთი თვით დაკავებას, მეორე დარღვევის შემთხვევაში - სამი თვით, ხოლო ყოველი მომდევნო დარღვევისათვის ხელფასის ექვსი თვით დაკავებას (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 264.8).

მიუხედავად ამისა, დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში ხშირად კენჭისყრის პულტებით მანიპულირებენ. “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” თანამშრომლებმა რამდენიმე პლენარულ სხდომაზე დასწრებისას აღმოაჩინეს შემთხვევები, როდესაც კონკრეტული პარლამენტის წევრები თავიანთი არდამსწრე კოლეგების მაგივრადაც აძლევდნენ ხმას. ზოგიერთი პარლამენტის წევრი კი შემჩნეული იყო ორ ან სამ არდამსწრე წევრის ხმის მისაცემი მოწყობილობის გამოყენებაში.

პარლამენტის სხდომების ვიდეოგადაღებაზე არსებული შეზღუდვის გამო ჩვენ იძულებულნი ვართ გარეშე წყაროდან მოპოვებული ვიდეო სამხილი წარმოგიდგინოთ. ტელეკომპანია “მაესტრომ” მოგვაწოდა ჩანაწერი, სადაც კარგად ჩანს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში კენჭისყრის პულტებით მანიპულირების პრაქტიკა. მაესტროს (რომელიც მხოლოდ თბილისში მაუწყებლობს) მიერ მოწოდებული ჩანაწერი 2011 წლის 14 ივნისის პლენარულ სხდომაზეა გადაღებული.

and discovered that certain MPs cast votes for their absent colleagues; some Mps were seen to use the voting devices of two or three absent members.

Due to restrictions on filming at Parliamentary sessions, we have to present video evidence obtained from external sources. Maestro TV kindly agreed to give us footage which clearly depicts the practice of ‘ghost voting’ in the Georgian legislature. The video footage provided by Maestro TV (which broadcasts only in Tbilisi) was taken during the plenary session of June 14th, 2011.

Apart from constituting a violation of the Parliamentary procedures, TI Georgia believes that ‘ghost voting’ is a breach of the basic democratic principle that lawmakers must hold sole responsibility for the votes they cast, as the elected representatives of their constituents.

We urge Georgian MPs to act in good faith and to respect the Constitution and their constituents.





# ორგანიზაციის სხვა აქტივობები

# OTHER ACTIVITIES OF THE ORGANIZATION

## WORK CARD

### სამუშაო ბარათი

ორგანიზაციამ 2011 წლის გაზაფხულიდან დაიწყო „სამუშაო ბარათის“ სახელწოდებით ცნობილი დოკუმენტის გამოცემა. ეს დოკუმენტი სეზონში ერთხელ გამოდიოდა და მასში იმ პერიოდისათვის ქვეყანაში არსებული განსაკუთრებული მნიშვნელობის თემები შედიოდა. „სამუშაო ბარათი“ თავსდებოდა ჩვენს ვებგვერდზე, და ასევე იგზავნებოდა ელექტრონულ მისამართებზე. ორგანიზაციას 3,000–დე მსურველის ელექტრონული ფოსტის მისამართი აქვს. დოკუმენტი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა როგორც ჟურნალისტებში, ასევე საელჩოების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებშიც, რადგან მასში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საკუთარ პოზიციას აფიქსირებდა მიმდინარე პრობლემებთან დაკავშირებით. „სამუშაო ბარათის“ ყოველ ახალ გამოცემაში მოცემული იყო ჩვენი ორგანიზაციის რეკომენდაციები იმ საკითხებზე, რომელზეც მოცემულ პერიოდში ვმუშაობდით.

### ვებგვერდი BEYONDTBILISI.GE – მნიშვნელოვანი სიახლეები რეგიონებიდან

საქართველოში რეგიონური ახალი ამბები ძირითადად მხოლოდ ქართულ ენაზე იქმნება და ყოველთვის არ არის წარმოდგენილი ინტერნეტში, რის გამოც რეგიონის პრობლემები ხშირად ქვეყნის შიგნით თუ გარეთ მყოფი დაინტერესებული მხარეების ყურადღების მიღმა რჩება. ჩვენ გადავწყვიტეთ ვებ გვერდის შექმნა, რომელსაც სიმბოლურად

### WORK CARD

TI Georgia has been publishing a Work Card document since the summer of 2011. The document is issued seasonally and covers political and economic topics of utmost importance. Each Work Card is uploaded on our website and also sent via email to hundreds of subscribers of our email newsletter. The documents have attracted keen interest from journalists, embassies and international organizations as they contain TI Georgia’s stand on existing problems in Georgia as well as our recommendations on issues that we are working on at the time of publication.



### BEYONDTBILISI.GE - IMPORTANT STORIES FROM THE REGIONS

Regional news in Georgia is not easily accessible for non-Georgian speakers, and Georgians themselves often don’t hear or read much about developments outside the capital because Tbilisi-based media does not often cover these stories. Problems in the regions are thus often unknown to stakeholders both inside and outside the country. To address this problem, we created a website called BeyondTbilisi to act as a facilitator between the local media and a wide range of Internet users, thereby extending the reach of regional news. The project is largely run by volunteers.

„Beyond Tbilisi” ანუ „თბილისს მიღმა“ დავარქვით. ვებ გვერდის მიზანია ადგილობრივ მედიასა და ფართო მომხმარებელს შორის შუამავლის როლის შესრულებით რეგიონული ახალი ამბები უფრო ხელმისაწვდომი გახადოს.

Beyond Tbilisi–ის ფარგლებში ჩვენ ვაკეთებთ მნიშვნელოვანი და საინტერესო ახალი ამბების ქართულ და ინგლისურენოვან მოკლე შინაარსებს და თითქმის ყოველდღიურად ვტვირთავთ მათ ვებ გვერდზე. ამასთან ვცდილობთ, რომ მასალის რაოდენობა მარტივად ასათვისებელი, ხოლო სტილი ადვილად გასაგები იყოს. მიუხედავად იმისა, რომ მასალის შერჩევისას თემატიკაზე შეზღუდვა არ არსებობს, უპირატესობას მაინც პრობლემებზე ორიენტირებულ და საგამოძიებო ხასიათის ახალ ამბებს ვანიჭებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ხშირად, სწორედ ასეთი ტიპის ახალი ამბებია ყველაზე მნიშვნელოვანი.

მიზნის მისაღწევად Beyond Tbilisi ძირითადად სამ საშუალებას იყენებს: ვებ გვერდი, ფეისბუქი და ტვიტერი. ვებ გვერდზე საინტერესო ახალი ამბების მოკლე შინაარსებს ვათავსებთ თანმდევი სურათებითა და ვიდეოებით. ტვიტერზე მოკლე ახალი ამბები იდება, რომელთა გამოხატვა ერთი წინადადებით არის შესაძლებელი. ფეისბუქს კი ვიყენებთ დანარჩენი ორი საშუალების წვდომის გასაფართოებლად.

ბოლოს გვსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ Beyond Tbilisi–ის, როგორც შუამავლის ტიპის პროექტის, ფარგლებში ჩვენ ვერ ვიღებთ პასუხისმგებლობას რეგიონული მედიის მიერ შექმნილ მასალაზე, რადგან არ ვიძიებთ შერჩეული სტატიების ფაქტობრივ სიზუსტეს. მიუხედავად ამისა, მასალის შერჩევის დროს, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ რამდენად ობიექტურად და ზედმიწევნით არის დაწერილი სტატია.

## ევროპის სამეზობლო პოლიტიკა – საქართველოს ანტიკორუფციული ვალდებულებების შეფასება

2011 წლის 4 მაისს ბრიუსელში გაიმართა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ანგარიშების პრეზენტაცია. ღონისძიება ორგანიზებული იყო „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სამდივნოს მიერ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ბრიუსელში ანალიტიკოსმა მარი გაბედავამ წარადგინა. შეფასების მიხედვით, საქართველოში სასამართლოსა და საჯარო სამსახურის არასაკმარისი დამოუკიდებლობა ის მთავარი ფაქტორია, რაც ასუსტებს ჩვენი ქვეყნის კარგი მმართველობის პოტენციალს. პოლიტიზირებულობის მაღალი დონე, განსაკუთრებით საჯარო სამსახურის სფეროში, რჩება ძირითად ბარიერად, თუმცა პროგრესი ტექნიკური კუთხით, როგორიცაა ელექტრონული შესყიდვების სისტემაზე გადასვლა, დამაიმედებელია. მოხსენების მთავარი რეკომენდაციაა, საქართველომ კორუფციასთან ბრძოლაში პროგრესის გასაგრძელებლად გაზარდოს გამჭვირვალობა და მიუკერძოებლობა, როგორც კანონების მიღების, ისე მათი აღსრულების დროს.

At BeyondTbilisi, we produce summaries of important and interesting pieces of news in Georgian and English and post them on the website, along with pictures and videos, several times a week. BeyondTbilisi aggregates news from local media outlets and does not produce its own news, and therefore does not claim responsibility for the factual accuracy of the articles that are summarized on the website. Nevertheless, when selecting material, we always try to pay attention to how dispassionately and thoroughly the article is written.

We always highlight the source of the reports and link back to the regional media, thus promoting the work of regional media outlets. Our volunteers select stories on a wide range of topics but most stories that end up on BeyondTbilisi have investigative elements and cover alleged misuse of power, corruption and political accountability or socioeconomic issues. We also extensively use Facebook and Twitter to reach a broader audience with this service.

## EUROPEAN NEIGHBORHOOD POLICY – AN EVALUATION OF GEORGIA'S ANTI–CORRUPTION OBLIGATIONS



On 4 May, 2011, TI held a presentation in Brussels on the implementation of accountability reforms the countries of the South Caucasus had committed to within the European Neighborhood Policy. TI Georgia was represented by analyst Mari Gabedava. Her research report had found that insufficient independence of the judiciary and public service sectors remained a key factor that continues to weaken principles of good governance in Georgia. The report also highlighted concerns about the politicization of the civil service. However, significant progress had been made in using technology to improve transparency, most importantly through the shift to an electronic procurement system.





## სტუდენტებთან შეხვედრები

2011 წელს “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” წარმომადგენლებმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ჩაატარეს ლექციები სტუდენტებისათვის თემაზე - საჯარო ინფორმაცია: კანონმდებლობა და შესაბამისი პრაქტიკა. ლექციები ჩატარდა როგორც ჟურნალისტიკის, ასევე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსმენელებისათვის. აღნიშნული სამიზნე ჯგუფის საქმიანობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისა და ინფორმაციის მიღებაზე საკუთარი უფლების დაცვის უნარ–ჩვევების ჩამოყალიბება. ლექციები მიმდინარეობდა თავისუფალ ფორმატში, სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულნი დისკუსიაში, სვამდნენ შეკითხვებსა და კონტრ–შეკითხვებს კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით. ლექციების ბოლოს მოეწყო “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს” მიერ მომზადებული ვიდეოების ჩვენება. ამ ვიდეოების დახმარებით, ვცდილობთ, მარტივად გასაგებ ენაზე მივაწოდოთ მაყურებლებს ინფორმაცია მათი კონსტიტუციური უფლებების შესახებ. დამკვირვებლები 2011 წლის შუალედურ არჩევნებში რადგან 2012 წელი საქართველოში საპარლამენტო არჩევნების წელია, ორგანიზაციამ გადაწყვიტა შუალედურ არჩევნებს მობილური ჯგუფების საშუალებით დაკვირვებოდა, რათა გამოევლინა პრობლემები, რომლებიც საპარლამენტო არჩევნების დაკვირვების დროს შეიძლება წარმოიშვას. 2011 წლის 2 ოქტომბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ოთხი მობილური ჯგუფის საშუალებით #17 თელავის საარჩევნო ოლქის 28 უბანზე შუალედურ არჩევნებს დააკვირდა. “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს” დამკვირვებლები 9 უბანზე დაესწრნენ უბნის გახსნისა და დახურვის პროცედურებს.

## დისკუსიები “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს” ოფისში

ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საგამოძიებო ჟურნალისტიკით დაკავებულ ჟურნალისტებთან. რადგან საგამოძიებო ჟურნალისტიკა სუსტია ჩვენს ქვეყანაში, მოხალისეობრივ საწყისებზე ვცდილობთ დავეხმაროთ იმ რამდენიმე სტუდიას, რომელიც ახერხებს და ხარისხიან პროდუქტს ქმნის ამ კუთხით. საგამოძიებო ფილმები ქართულ ენაზე იქმნება. ჟურნალისტებს არ ყოფნით ადამიანური რესურსი ეს ფილმები ინგლისურად თარგმნონ. ჩვენ მათ სწორედ ამაში ვეხმარებით; შემდეგ კი ჩვენს ოფისში ვაწყობთ ამ ფილმების პრეზენტაციას და ვიწვევთ იმ უცხოელებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ფილმში ასახული საკითხებით. ერთ–ერთ ჩვენებაზე ფილმის მთავარი გმირიც მოვიწვიეთ. ფილმი სახელმწიფოს მხრიდან ომარ აქუბარდიას საკუთრების ხელყოფის ფაქტს ასახავდა.

## ENGAGING UNIVERSITY STUDENTS IN THE DISCUSSION ABOUT TRANSPARENCY

TI Georgia representatives gave lectures for the students of Javakhishvili Tbilisi State University and the Georgian Institute of Public Affairs on the topic "Public Information: Legislation and Pertinent Practice." The lectures were held for students in the Journalism, Social Sciences, and Political Science departments and focused on developing skills for requesting public information and defending the right of citizens to receive information. The lectures were conducted in a free format: the students were actively involved in the discussion, and posed questions and counterquestions on specific issues. TI Georgia also showed public service videos we had produced, explaining selected constitutional rights in simple and understandable language elections though mobile groups in order to identify the problems that may arise while monitoring.

## OBSERVING THE 2011 BY-ELECTIONS

In order to prepare for the important 2012 Parliamentary elections, TI Georgia observed the by- parliamentary elections. On 2 October, 2011, four groups of TI Georgia observes monitored by-elections at Telavi #28 precinct of #17 electoral district and attended the procedures for the opening and closing of nine polling stations.

## DISCUSSIONS IN THE TI GEORGIA'S OFFICE

TI Georgia works closely together with investigative journalists. The high-level reporting that exists in Georgia is often only seen by a fairly small audience. We try to help, on a voluntary basis, to increase the reach and impact of selected reportages. TI Georgia staff has created English language subtitles for several investigative films and organized viewings and presentations of the films in our office, invite the authors and stakeholders to discuss the matter.

## TI GEORGIA CELEBRATES INTERNATIONAL ANTI-CORRUPTION DAY



## ორგანიზაცია კორუფციასთან ბრძოლის მსოფლიო დღეს აღნიშნავს

9 დეკემბერი კორუფციასთან ბრძოლის მსოფლიო დღეა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ამ დღეს ყოველწლიურად რიგ ღონისძიებებს ატარებს. გამონაკლისი არც 2011 წელი ყოფილა. დილით ორგანიზაციის წარმომადგენლები სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ დაინტერესებულ გამვლელებს და სტუდენტებს ესაუბრებოდნენ ორგანიზაციის საქმიანობაზე, მიმდინარე კვლევებზე. ასევე, ეკითხებოდნენ ხალხს აზრს კორუფციის შესახებ საქართველოში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ თანამშრომლებმა დაინტერესებულ პირებს ორგანიზაციის პუბლიკაციები დაურიგეს. ღონისძიება გააშუქეს სხვადასხვა ტელევიზიებმა და მედია გამოცემებმა.დღის მეორე ნახევარში ჩვენ უკვე „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ოფისის წინ, რუსთაველის 26–ში, გამვლელებს ცხელი სასმელებით ვუმასპინძლდებოდით და კორუფციასთან ბრძოლის გზებზე და ორგანიზაციის საქმიანობაზე ვესაუბრებოდით. საღამოს ორგანიზაციამ ჟურნალისტებს უმასპინძლა და არაფორმალურ გარემოში გაიმართა მოსაზრებების გაზიარება.

## ღია მმართველობის მონაცემები და „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის”

2011 წლის განმავლობაში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” იყო ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობდა საქართველოს მთავრობის გამჭვირვალობისა და მის ხელთ არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. საქართველომ გადადგა ისეთი პოზიტიური ნაბიჯები ვებ-საიტების გამოყენებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სრულყოფისაკენ, როგორიცაა კომპანიების მფლობელობისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაციების ონლაინ განთავსება, მაგრამ ბევრი საკითხი ჯერ კიდევ გასაუმჯობესებელია. 2011 წლის დასაწყისში, ჩვენ შევქმენით დოკუმენტი “ათი რჩევა ღია მონაცემთა შესახებ”. ეს არის პრაქტიკული რჩევების ნაკრები სპეციალურად პროექტის მენეჯერებისთვისა და დიზაინერებისთვის. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულ იქნა “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის” მიერ, რომელიც მუშაობს მთავრობის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე. ჩვენი ათი რჩევა ასევე მოიწონა მსგავს პრობლემებზე ფოკუსირებულმა ევროპულმა საადვოკატო ჯგუფმა Access-Info. 2011 წლის აგვისტოში, საქართველომ გამოხატა „ღია მმართველობისთვის პარტნიორობაში” მონაწილეობის სურვილი. „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის” წარმოადგენს ქვეყნების საერთაშორისო კონსორციუმს, რომელიც მიმართულია გამჭვირვალობის გაუმჯობესებასა და სამოქალაქო ჩართულობისაკენ. საქართველო ვალდებული იქნება სამოქალაქო საზოგადოების აზრის გათვალისწინებით შეიმუშავოს ორწლიანი სამოქმედო გეგმა. 2011 წელს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ” წამყვანი როლი ითამაშა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვარიანტის შემუშავების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობაში. ორგანიზაციამ სამოქმედო გეგმის სამუშაო ვარიანტი პარტნიორი ორგანიზაციებს მიაწოდა, ხოლო მათი შეთავაზებები უკვე საქართველოს მთავრობას წარუდგინა.

9 December is International Anti-Corruption Day. To highlight the importance of this day, TI Georgia staff hit the streets, offered by-passers some hot tea to warm up outside our Rustaveli Avenue office, engaging them in a conversation about corruption and political accountability. TI Georgia also used the opportunity to distribute info material and policy reports and promoted ChemiKucha.ge as well as our free legal advice center. We succeeded in getting several dozen people interested in our work, who signed up for our email newsletter. The event was covered by different television and print media. In the evening, TI Georgia hosted journalists, supporters and partners of the organization and used this opportunity to exchange opinions in an informal atmosphere.

## OPEN GOVERNMENT DATA AND THE OPEN GOVERNMENT PARTNERSHIP

Throughout 2011, TI Georgia was one of the leading advocates for improving the openness and accessibility of information held by the Georgian government. Georgia has made some positive steps toward using websites to improve the availability of information such as company ownership and procurement information, but there is still lots of room for improvement. In early 2011, we created Ten Open Data Guidelines, a practical document written for project managers and designers to incorporate into project requirements. The guidelines were endorsed by the Institute for Development of Freedom of Information, a Georgian advocacy organization focused around improving access to government information in Georgia, as well as Access-Info, a European advocacy group focusing on similar issues. In August, 2011, Georgia expressed its intent to join the Open Government Partnership (OGP), a new international initiative, spearheaded by the United States and Brazil, aimed at securing concrete commitments from governments to promote transparency, increase civic participation, fight corruption, and harness new technologies to make government more open, effective, and accountable. Georgia will be required to develop a two-year Action Plan with the input of the public and civil society. In 2011, TI Georgia took a leading role in promoting civil society involvement in the action plan drafting process by providing partner organizations with Georgia's draft action plan and providing the Georgian Government with detailed feedback and suggestions for improvement.





# ორგანიზაციის სტუმრები
# TI GEORGIA'S GUESTS



## ხორვატიელი ბლოგერი მარკო რაკარი საკუთარ გამოცდილებას უზიარებს ქართველ კოლეგებს

ჩვენმა ორგანიზაციამ 2011 წელს საქმიანობის ერთ–ერთ მთავარ კომპონენტად ბლოგების წერა და გამოქვეყნება აქცია. ჩავთვალეთ, რომ ხარისხიანი კვლევები და ანგარიშები მნიშვნელოვანია, მაგრამ მათ მომზადებას დრო სჭირდება, არადა ქვეყანაში ზოგჯერ ძალიან საინტერესო მოვლენები ხდება, რის შესახებაც ორგანიზაციას თავისი პოზიცია გააჩნია და უნდა ეს პოზიცია საჯარო გახადოს. სწორედ ამაში გვეხმარება ბლოგები. ასევე ჩვენს მოცულობით ანგარიშებში შესულ ინფორმაციას უფრო ადვილად გასაგებ ენაზე გარდავქმნით ხოლმე და ისე ვაწოდებთ მკითხველს. რადგან საქართველოში ბლოგერები სულ უფრო და უფრო აქტიურად წერენ, გადავწყვიტეთ რომ მათთვის, ისევე როგორც ჩვენი ორგანიზაციისთვის, სასარგებლო იქნებოდა სხვა ქვეყნების ბლოგერების გამოცდილების გაზიარება. სწორედ ამიტომ, გაზაფხულზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მოწვევით საქართველოში ხორვატიელი ბლოგერი მარკო რაკარი ჩამოვიდა. მან თბილისში გამართა სემინარი თემაზე „ბლოგები და პოლიტიკა“. სემინარს ქართველი ბლოგერები ესწრებოდნენ. მარკო რაკარმა ისაუბრა, თუ როგორ შეიძლება ბლოგერებმა თავიანთი საქმიანობით ზემოქმედება მოახდინონ პოლიტიკაზე.

## CROATIA'S INVESTIGATIVE BLOGGER MARCO RAKAR SHARES HIS EXPERIENCE IN TBILISI

TI Georgia made writing and publishing blogs one of the key components of its work in 2011. We are of the opinion that quality surveys and reports are important; however, it takes time to prepare them. At the same time, sometimes very interesting events unfold in the country which TI Georgia would like to respond to by making its own position public in a more timely fashion. This is where blogs can assist us. We also use blogs to present information from our voluminous reports in an easily understandable language. Since the number of bloggers in Georgia is increasing remarkably, we decided that it would be useful for both the bloggers and for TI Georgia to learn from the experience of bloggers from other countries. For this purpose, TI Georgia invited Marko Rakar, a blogger from Croatia, who arrived in Tbilisi in spring. He held a seminar, Blogs and Politics, which was attended by Georgian bloggers. Marko Rakar talked about how bloggers can influence politics with their activities.

Marko Rakar is one of Croatia's leading political bloggers and a prominent political figure in the country. He is also the founder of the website Pollitika.com which is Croatia's online forum for political debates. The website is visited by hundreds of thousands of people every month. At the seminar, Rakar described his experience as a blogger as well as the ways in which blogs have impacted political changes in Croatia.

## BUILDING TIES WITH NGOS FROM EASTERN EUROPE AND THE BALTIC STATES

NGO representatives from Moldova, Ukraine, and the Baltic republics were on a working visit in Georgia from 16 to 19 May. The mission of the visit was to share their experience with Georgian NGOs. On 16 May, they paid a visit to TI Georgia, where we discussed some of the anti-corruption reforms Georgia has managed to implement, as well as important lessons learned from this process. TI Georgia also shared its experience in using technology as a tool to promote government accountability.

მარკო რაკარი ხორვატიის ერთ–ერთი მოწინავე პოლიტიკური ბლოგერი და ქვეყნის ცნობილიპოლიტიკური ფიგურაა. ის ასევე ვებგერდის Pollitika. com დამფუძნებელია, რომელიც წარმოადგენს ხორვატიის პოლიტიკური დებატების ონლაინ ფორუმს. ვებგვერდს ყოველთვიურად ასი ათასობით ვიზიტორი ჰყავს. რაკარმა აღწერა მისი, როგორც ბლოგერის გამოცდილება და გზები, რომლითაც ბლოგებმა ხორვატიაში პოლიტიკური ცვლილებებზე იმოქმედეს.

## აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციების ვიზიტი

საქართველოში 16–19 მაისს სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ მოლდოვის, უკრაინისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. ვიზიტის მიზანი საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარება იყო. 16 მაისს ისინი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ეწვივნენ. ორგანიზაციაში გაიმართა პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე დეტალურად წარმოვადგინეთ ის პროექტები, რომელსაც ჩვენი ორგანიზაცია ახორციელებს. ჩვენს უცხოელ კოლეგებს აინტერესებდათ საქართველოს მიღწევები კორუფციასთან ბრძოლის კუთხით. დისკუსიისას განვიხილეთ საქართველოს მიღწევები და არსებული გამოწვევები.

## გამოცდილების ურთიერთგაზიარება-ჩეხი კოლეგები „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ოფისში

ჩვენი ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – ჩეხეთთან“. ჩვენ ერთობლივ პროექტსაც ვახორციელებდით, რომლის ფარგლებშიც ჩეხი კოლეგები საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებდნენ ანტიკორუფციული საკონსულტაციო ცენტრის მუშაობის შესახებ. მათი გამოცდილება ამ სფეროში 9 წელზე მეტს ითვლიდა,მაშინ როცა, ჩვენი ცენტრი სულ 3 წელია რაც ფუნქციონირებს. 2011 წლის ზაფხულში ჩეხი კოლეგები ჩეხეთის პარლამენტის წევრ ბატონ კონიეჩეკთან ერთად ესტუმრნენ თბილისს. ბატონი კონიეჩეკი ჩეხეთის პარლამენტის სააუდიტო კომიტეტის წევრიცაა. შეხვედრა გაიმართა საქართველოს კონტროლის პალატის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე ჩვენმა ორგანიზაციამ „ანტიკორუფციული სისტემის შეფასების“ ფარგლებში ჩატარებული კვლევა და ამ კვლევის შედეგი: საქართველოს კონტოლის პალატის შეფასება წარმოადგინა.



## TRANSFERRING KNOWLEDGE FROM THE CZECH REPUBLIC TO GEORGIA - AND THE OTHER WAY ROUND

TI Georgia and our sister chapter, TI Czech Republic, have had a close relationship for several years. In a joint project, our Czech colleagues assisted TI Georgia in building up our free legal advice center – allowing our staff to benefit from over nine years of experience. In the summer of 2011, our Czech colleagues paid a visit to Georgia together with Mr. Koniechek, a Czech MP, who is also a member of the Czech parliament auditing commission. A meeting was held with representatives of the Georgian Chamber of Control at which TI Georgia presented a survey that evaluated the Georgian Chamber of Control.

## HELPING HAMKARI ACTIVISTS TO HAVE THEIR VOICE HEARD



Tbilisi Hamkari, is a group of active citizens whose goal is to preserve the beauty of Tbilisi. The group has been active since 2005. The name was adopted from an organization of craftsmen called Amkari (Hamkari in old form) whose traditions extend back over a thousand years. Hamkari vigorously advocates to protect the city's historical neighborhoods and seeks to convince the municipality to rehabilitate endangered unique buildings that stand as chronicles of the city's history. Representatives of Hamkari visited TI Georgia's office in the spring of 2011. Mark Mullen, the Chairman of the Board of TI Georgia, held an extensivetraining session for them, introducing Hamkari members to different strategies of advocacy and engagement of larger audiences. In recent months, Hamkari has become an increasingly popular and visible movement, fighting for the preservation of Gudiashvili Square and other unique parts of Tbilisi that are threatened by urban development projects.

## „ჰამქარი“ ჩვენს ოფისში

ჩვენს დედაქალაქში 2005 წლიდან თბილისზე მზრუნველთა გაერთიანება „ტფილისის ჰამქარი“ არსებობს. სახელწოდება აღებულია თბილისში ხელოსანთა ათასწლოვანი ტრადიციის მქონე ორგანიზაციიდან „ამქარი“ (ძველი ფორმით „ჰამქარი“). 21–ე საუკუნის თბილისური ამქარი აერთიანებს სხვადსახვა პროფესიის ინიციატივიან, აქტიურ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან საქართველოს დედაქალაქზე ზრუნვას გარკვეული დრო და ენერგია დაუთმონ. ისინი აქტიურად იცავენ დედაქალქის ისტორიულ უბნებს, ქალაქის თვითმმართველობას სთხოვენ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდეს ავარიულ მდგომარეობაში მყოფ უნიკალურ შენობებს, რომლებიც ძველი თბილისის მემატიანეები არიან. ამქარის წარმომადგენლები 2011 წლის გაზაფხულზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ოფისს სტუმრობდნენ. მათ ორგანიზაციის გამგეობის თავჯდომარემ მარკ მალენმა ადვოკარიტების კამპანიის შესახებ ტრეინინგი ჩაუტარა. მარკ მალენმა საინტერესო რჩევები მისცა ამქრის აქტივისტებს, როგორ შეიძლება მეტი ადამიანი ჩართო ქალაქის საჭირბოროტი საკითხების მოგვარებაში.

## „საერთაშორისო გამჭვირვალობა –საქართველო“ ელჩებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს ხვდება

ორგანიზაცია საქართველოში აკრედიტირებულ ელჩებს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს რეგულარულად ხვდება საკუთარ ოფისში და არაფორმალურ დისკუსიებს მართავს მათთან. ორგანიზაციის თანამშრომლები მოწვეულ სტუმრებს აწვდიან მოკლე ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. 2011 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შეხვდა საფრანგეთის, შვედეთის, გერმანიის, ჩეხეთის, ბრიტანეთის, ამერიკის, ნიდერლანდების, ევროკავშირის კომისიის ელჩებს. ასევე ჩვენი სტუმრები იყვნენ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და ევროსაბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი.

## TI GEORGIA MEETS WITH AMBASSADORS AND INTERNATIONAL ORGANIZATIONS

TI Georgia conducts regular meetings with ambassadors and representatives of international organizations and holds informal discussions with them. Ambassadors and representatives of international organizations are invited to TI Georgia's office, where they are briefed on the latest developments in the country. In the second part of 2011 TI Georgia met ambassadors from France, Sweden, Germany, the Czech Republic, the United Kingdom, the United States of America, the Netherlands, Australia, the EU Commission and UNODC, as well as the Head of the Office of the Council of Europe in Georgia, the EU Ambassador, and numerous representatives of the diplomatic corps and visiting delegations.



# კოალიციების წევრობა

**2011 წელს “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო” შემდეგი კოალიციების წევრი იყო:**

## კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის

2011 წლის 29 აპრილს ჩამოყალიბებული „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ 30 არასამთავრობო ორგანიზაციისგან შედგება. კოალიციის შექმნის მიზანია მიმდინარე სასამართლოს რეფორმების მონიტორინგისა და დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლოსთვის ადვოკატირების პროცესში პროფესიული იურიდიული ასოციაციების, იურიდიული უფლებების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს და პროფესიული ასოციაციების ძალისხმევის გაერთიანება. USAID-ის პროექტი ხორციელდება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტთან (EWMI) თანამშრომლობით.

## კოალიცია „გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის“

კოალიცია 2008 წლის 19 დეკემბერს დააარსა შვიდმა აქტიურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ. იგი მიზნად საქართველოსთვის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი კრიზისის დასაძლევად გამოყოფილი ფინანსური დახმარების გამჭვირვალობის გაზრდას ისახავს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა _ საქართველოს“ გარდა, კოალიციის წევრი ორგანიზაციები არიან: ფონდი „ღია საზოგადოება _ საქართველო“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“, „სივიტას გეორგიკა“, „მწვანე ალტერნატივა“, „რეგიონული მედიის ასოციაცია“ და „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“. კოალიციის საქმიანობის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა _ საქართველო“ ყურადღებას სამ ძირითად საკითხზე ამახვილებს: 1. დონორების გამჭვირვალობის ხარისხი, 2. დახმარების თანხების განაწილებისა და საქართველოს მთავრობის მიერ მათი ხარჯვის კონტროლის ეფექტიანობა და 3. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის განკუთვნილი პროგრამების გამჭვირვალობა და ეფექტიანობა.

## კოალიცია მედიის ადვოკატირებისათვის

2011 წლის 13 აპრილიდან, კოალიციის დაარსების დღიდან, „საერთაშორისო გამჭვირვალობა _ საქართველომ“ აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესში მედიის როლის გააქტიურებისაკენ მიმართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ასეთ ღონისძიებათა რიცხვს მიეკუთვნება მედია კოალიციის მიერ შექმნილი ფილმი, რომელიც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს ვუჩვენეთ. ფილმში დეტალურადაა ასახული პოლიციის მიერ იმ ჟურნალისტების უფლებების დარღვევა, რომლებიც 2011 წლის 26 მაისის მოვლენებს აშუქებდნენ. ამ დროს, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან ანტისამთავრობო მანიფესტაციის განდევნისას უშიშროების ძალებმა „გადამეტებული ძალა გამოიყენეს” (ციტატა „ამნესტი ინეტრნეიშენალის“ 2011 წლის 1 ივნისის განცხადებიდან). ფილმის ჩვენება დასრულდა მედია კოალიციის განცხადებით, რომელიც გმობდა პოლიციის სპეცრაზმის ძალადობას.

მედია კოალიციამ ზედმიწევნით მიადევნა თვალი ვითარებას, როდესაც სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებმა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მედია ჰოლდინგის „კვირის პალიტრის” ყველა ფილიალის შემოწმება დაიწყეს მათი კანონთან შესაბამისობის დადგენის მიზნით („კვირის პალიტრა” ერთ - ერთი იყო იმ მცირერიცხოვან მედია ორგანიზაციებს შორის, რომლებმაც სრულად გააშუქეს (რადიოში, გაზეთში, ინტერნეტ ტელევიზიითა და ფოტოების მეშვეობით) მთავრობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტანტებისაგან ტერიტორიის “გაწმენდის” პროცესი 2011 წლის 26 მაისს. მედია კოალიციის წარმომადგენლები შეხვდნენ დიპლომატიურ კორპუსს „კვირის პალიტრის“ მიმართ ხელისუფლების ობიექტურობის დაცვის ადვოკატირების მიზნით. პროცესის მიმდინარეობისას მედია კოალიაციამ რამდენიმე განცხადება გაავრცელა და კრეატიული საპროტესტო აქციები მოაწყო.

მედია კოალიციამ ადვოკატირების კამპანია წამოიწყო „მაესტროსთან“ (სამთავრობო კონტროლს მიღმა არსებული სატელევიზიო არხი, რომელსაც აეკრძალა ქვეყნის ტერიტორიის

# MEMBERSHIP IN WORKING GROUPS AND COALITIONS

TI Georgia is a member of the Georgian Anti-Corruption Council, an inter-agency body that is chaired by the Ministry of Justice.

## PROMOTING FAIRNESS AND TRANSPARENCY IN STATE PROCUREMENT

In November 2011, TI Georgia was elected to become a member of the State Procurement Agency's Dispute Resolution Board. The Board evaluates complains submitted by bidders and stakeholders who report about shortcomings and problems in the electronic procurement process. The Board decides on if and how complains are followed up on, the decisions of the Board are posted on the Agency's website to ensure transparency. In this new role, TI Georgia seeks to promote a fair and transparent procurement process and to act as an independent referee on submitted complains, and seeks to promote steps to prevent corruption, collusion and other illegal behavior in the process. A higher level of trust in the procurement system and a fair bidding environment will, over time, encourage more companies to bid for state contracts - the low number of average bidders per contract remains a major systematic weakness of the Georgian procurement process. More bidders and more competition will result in lower prices and thus savings for the Georgian tax payer.

## COALITION FOR AN INDEPENDENT AND TRANSPARENT JUDICIARY

The Coalition for an Independent and Transparent Judiciary was formed in April, 2011, with 30 member NGOs. The goal of the coalition is to strengthen the capacity of legal professional associations, legal rights NGOs, business associations, and the media in monitoring relevant judicial practices and advocating for an independent judiciary. The coalition is supported by Eurasia Partnership Foundation and the East-West Management Institute under the USAID-funded Judicial Integrity and Legal Empowerment program.

## TRANSPARENT FOREIGN AID TO GEORGIA COALITION

This coalition was founded in December 2008 by seven NGOs active in Georgia to ensure the transparency of the financial aid that was pledged to Georgia by international donors to mitigate the consequences of the 2008 August war. The members of the coalition are: Association Green Alternative, Civitas Georgia, The Economic Policy Research Center, Eurasia Partnership Foundation, The Georgian Young Lawyers' Association, Open Society Georgia Foundation, and TI Georgia. As a member of the coalition, TI Georgia, has focused on three main issues in particular: 1) donor transparency, 2) the effectiveness of aid distribution and control of spending by the government, and 3) the transparency and effectiveness of programs designed for IDPs.

## COALITION FOR MEDIA ADVOCACY




In April 2011, a group of NGOs - including TI Georgia - media activists, media associations, several media outlets and donors formed the Coalition for Media Advocacy. The Coalition seeks to defend and strengthen independent media in Georgia and lobby for a better regulatory as well as political environment. Since its creation, the Coalition has become an important forum for discussion, coordination and joint, targeted advocacy efforts to improve the media sector. After journalists were attacked and detained following the crack down on protesters on May 26, the Coalition has produced and screened a film that shows in detail how Georgian police violated the rights of journalists covering the protests, when security forces used excessive force when clearing the square in front of Parliament from protesters. When three photographers who had worked for media outlets and for the government were arrested and charged with espionage in June, the Coalition condemned the action, co-organized protests and coordinated an awareness campaign. After a few weeks

სრული დაფარვის მქონე ინტერნეტ ოპერატორთან „სილკ ნეტთან“ პარტნიორობა) დაკავშირებული საკითხების გარშემო.

მედია კოალიციამ განახორციელა დიგიტალიზაციის პროცესზე გადასვლის მომზადების ადვოკატირება.

მედია კოალიციამ აქტიურად დაიცვა ფოტოგრაფები, რომლებსაც საქართველოს მთავრობის წინააღდეგ შპიონაჟში დასდეს ბრალი.

## ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ახალი აუდიტორიის მოსაზიდად და დისკუსიების საწარმოებლად

2011წლიდან “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო” ორენოვან ბლოგებს უკვე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ წერს. ასევე ვცდილობთ ბლოგების დახმარებით ჩვენი შეხედულებები და კვლევების შედეგები გავუზიაროთ მკითხველს. სულ 2011 წელს 52 სტატია დავწერეთ. ბევრი მათგანი ბეჭდურ მედიაში დაიბეჭდა ან სხვა ბლოგერებმა გამოიყენეს. ზოგიერთი ჩვენი ბლოგი მთავარი ახალი ამბის ძირითადი წყარო გახდა. მათ შორისაა ჩვენი ბლოგი „კენჭისყრის პულტებით მანიპულირება საქართველოს პარლამენტში“.ასევე ბლოგი პრზიდენტის მიერ პარლამენტში მოხსნებიტ გამოსვილსას დაშვებულ ფაქტობრივ უზუსტობებში. გამისვლაში. უკანასკნელმა ბლოგზე პრეზიდენტის ადმინისტრაცია გამოგვეხმაურა.

2010 წელთან შედარებით, ჩვენი ორგანიზაციის ვებგვერდის ვიზიტორების რაოდენობა გაორმაგდა. 2011 წელს ვებგვერდი სულ 55 718 ადამიანმა მოინახულა.

მნახველების 70.1 % საქართველოდან არის, მაგრამ ასევე მიახლოებით 4 000 ვიზიტორი გვყავდა ამერიკიდან, 2 000 მერი რუსეთიდან და 1 000 მეტი გერმანიიდან და ბრიტანეთიდან.

ასევე ვართ Facebook-ზე, სადაც ჩვენს ინგლისურ პროფილს 2,400 მეგობარზე მეტი ყავს. Twitter-ზე კი 600–დე მიმდევარი გვყავს.

of public pressure from within and outside Georgia, the photographers were released after signing a plea-bargain agreement. The Coalition closely monitored developments around the tax audit of all companies of the Kviris Palitra media holding - one of the largest media groups in the country and highlighted concerns about this audit, which was conducted shortly after some of the holdings' media outlets had extensively covered the May 26 events. Among other initiatives, the Coalition advocated for Maestro TV to be included into packages of Silknet, a leading national Internet and IP-TV provider; tried to mediate a settlement in the ownership dispute over Maestro TV; has been pressing for better access to public information and is working on the switch-over to digital television.

## USING TECHNOLOGY TO PROMOTE DISCUSSION AND ENGAGE NEW AUDIENCES

In 2011, TI Georgia expanded the role of our bilingual blog to comment on current affairs, share thoughts and research and discuss our observations. We published a total of 52 articles on our blog, many of which were re-posted by other blogs or picked up by the print media. Some even made the national news – including a video that documented systematic and illegal 'ghost voting' in Parliament, a practice in which MPs would vote for their colleagues who had not showed up or were not interested enough to cast the vote themselves. Another post that pointed out some inaccuracies in the President's speech to the nation triggered a response from his administration. In 2011, TI Georgia more than doubled the traffic to its website compared to 2010, counting a total of 55,718 visitors to transparency. ge (31,696 unique visitors, generating a total of 143,798 page views). 70.1 percent of our visitors accessed the website from Georgia, but we also had close to 4,000 visitors from the United States, more than 2,000 from Russia and more than 1,000 from Germany and the United Kingdom. Overall, we welcomed visitors form 157 countries and territories to our site.

TI Georgia has a proactive presence in social networks, seeking to use our research and analysis as a starting point for discussions with interested and active citizens. On Facebook, our Georgian and English profiles have more than 2,400 friends and more than 600 users are following our messages on Twitter.








## „გვინდა, მეტ ადამიანს მივაწვდინოთ ხმა და ჩავრთოთ ისინი ადვოკატირების კამპანიაში“



**ნანა ლობჟანიძე, ორგანიზაციის კომუნიკაციების ოფიცერი**

ჩვენი ორგანიზაცია თავისი საქმიანობის პერიოდში ყოველთვის მჭიდროდ თანამშრომლობდა მედიასთან. გასულ წლებში რამდენიმე პროექტის ფარგლებში ტრეინინგებს ვუტარებდით ჟურნალისტებს, რის შედეგადაც რეგიონული ჟურნალისტების საკმაოდ დიდი ქსელი შევქმენით. ეს ის ხალხია, რომელიც აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით გამოირჩევა და მათი დახმარებით რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ვადევნებთ.

**2011 წელი ორგანიზაციისათვის გადაფასების წელი იყო. გადავწყვიტეთ, რაც შეიძლება მეტ ადამიანს გავაცნოთ ჩვენი ორგანიზაცია, მოვუთხროთ რას ვაკეთებთ, რა მიზნები გვაქვს. ჩავთვალეთ, რომ ხარისხიანი კვლევა და საჭირო რეკომენდაციები მხოლოდ ქაღალდზე რომ არ დარჩეს და რეალურად შევძლოთ ცვლილებების მიღწევა, აუცილებელია ხალხის ჩართულობა ადვოკატირების პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად** კი ჟურნალისტების დახმარება გვჭირდება. ასევე, მნიშვნელოვნად ვთვლით, ვიცოდეთ, რა ხდება რეგიონებში, რა პრობლემებს აწყდებიან პროფესიული მოვალეობების შესრულებისას ჟურნალისტები. სწორედ ამიტომ დრო და დრო ჩავდივართ რეგიონებში და ვხვდებით ადგილობრივ ჟურნალისტებს.

ასევე გადავწყვიტეთ, მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლების კუთხით გვემუშავა. დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანებმა უნდა იცოდნენ საკუთარი კონსტიტუციური უფლებები. გადავწყვიტეთ, ეს უფლებები მარტივად გასაგები ენით მიგვეწოდებინა მოსახლეობისთვის. შევქმენით ვიდეო რგოლები, და ანიმაციის საშუალებით ვეცადეთ სერიოზული თემები შედარებით სახალისო გზით გადმოგვეცა. პირველად ეს ვიდეორგოლები რეგიონებში შეხვედრებისას მე–12 კლასელ მოსწავლეებს ვაჩვენეთ ქუთაისსა და ბათუმში. ჩვენების შემდეგ საინტერესო დისკუსიები გაიმართა.

## WE WOULD LIKE TO REACH MORE PEOPLE AND INVOLVE THEM IN THE ADVOCACY CAMPAIGN

Nana Lobzhanidze, TI Georgia's Communications Officer

Throughout its existence, TI Georgia has always cooperated closely with the media. We have conducted several training sessions for journalists within the context of several projects and as a result we have developed a wide network of regional journalists. These journalists stand out for their vigor and civic-mindedness, and help us keep abreast of the regional news.

**2011 WAS THE YEAR FOR TI GEORGIA TO REASSESS ITS WORK. WE DECIDED TO MAKE OUR ACTIVITIES KNOWN TO AS MANY PEOPLE AS POSSIBLE AND TELL THEM ABOUT WHAT WE ARE DOING AND WHAT OUR OBJECTIVES ARE.** In order for quality surveys and necessary recommendations to be able to achieve feasible changes, and not to remain simply printed on paper, we came to the conclusion that it is necessary to involve people in the advocacy campaign – and to achieve this goal we need support from journalists. Also, we consider it important to be informed about what is going on in all regions of Georgia, including what problems journalists encounter when fulfilling their professional duties. Therefore, we travel to different regions from time to time and have meetings with representatives of the regional media.



We have also decided to direct our resources towards raising civic awareness. People in a democratic state should be aware of their own constitutional rights. We decided to explain these rights to the people in plain language. By creating videos and using animation we tried to convey serious themes in an entertaining way. We first showed the videos at meetings with 12th grade students in Kutaisi and Batumi. The viewings were followed by interesting discussions.

## ONE OF THE MAJOR GOALS OF OUR ORGANIZATION IS TO INVOLVE VOLUN TEERS IN DIFFERENT ACTIVITIES.



**THE PUBLIC SHOULD FEEL THAT THEY ALSO TAKE PART IN RESOLV ING PROBLEMS AND VOLUN TEERISM HELPS ACHIEVE THAT GOAL .** Therefore, we used volunteers to distribute fliers for the anti-corruption center and for the new chemikucha.ge website. In the future we will create a new strategy to encourage more people to volunteer for TI Georgia. In 2011, our organization started to work closely with the Research and Marketing Institute (IPM). Using their professional media monitoring, we have gained a clear picture as to where and how often the activities of our organization are covered. During the last two months of 2011 we were mentioned 106 times in TV, 90 times in press, 58 times in radio and 160 times in online media. This allows us to know who our audience is and seek alternative ways to reach out and convey information to other target groups.





**ჩვენი ორგანიზაციის ერთ–ერთ მთავარი ამოცანაა მოხალისეების ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში. ადამიანებმა უნდა იგრძნონ, რომ თვითონაც მონაწილეობენ პრობლემების გადაჭრაში.** სწორედ მოხალისეობრივ საწყისებზე დავარიგეთ ანტიკორუფციული საკონსულტაციო ცენტრის და ახალი ვებგვერდის chemikucha.ge საინფორმაციო ფლაერები. სამომავლოდ გვინდა კარგად მოფიქრებული სტრატეგიით მეტი ადამიანი გავხადოთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მოხალისე.

2011 წელს ორგანიზაციამ თანამშრომლობა დაიწყო კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტთან (IPM). მათი პროფესიონალური მედია მონიტორიგნის საშუალებით ნათელი სურათი გვექმნება სად და რა სიხშირით შუქდება ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობა, რაც საშუალებას გვაძლევს ვიცნობდეთ ჩვენს აუდიტორიას და სხვა სამიზნე ჯგუფებისათვის ინფორმაციის მიწოდების ალტერნატიული გზები გამოვძებნოთ. 2011 წლის ბოლო ორი თვის განმავლობაში ჩვენი საქმიანობა 106–ჯერ გაშუქდა ტელევიზიით, 90–ჯერ პრესით, 58–ჯერ რადიოთი და 160–ჯერ მოგვიხსენიეს ინტერნეტგამოცემებმა.





## მე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სტაჟორი



**ანა ცხოვრებოვა** - როდესაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“ ჩემი სტაჟირება დამთავრდა და ორგანიზაციას ვტოვებდი, გადავწყვიტე, ორგანიზაციის თანამშრომლებისათვის საერთო ი-მეილი მიმეწერა და ყველას ამგვარად დავმშვიდობებოდი. პრინციპში, არც ისე რთულია რამდენიმე წინადადება დაწერო და შენი მადლიერება გამოხატო იმისათვის, რომ სტაჟირების პერიოდის განმავლობაში თითოეული თანამშრომლისაგან კეთილგანწყობას გრძნობდი და რომ ამას აფასებ. თუმცა, ჩემდა გასაკვირად, კარგა ხანი ვერ ჩამოვაყალიბე აზრი, თუ რა შეიძლებოდა მიმეწერა ამდენი არაჩვეულებრივი ადამიანისათვის, რომლებიც ამასთანავე ერთ დიდ, შეკრულ და ძალიან კარგ გუნდს წარმოადგენენ, სახელად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. ი-მეილის სათაურიც შესაბამისი გამოვიდა: „ამ წერილის დაწერა უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა“.

სამი თვით ადრე იმ დღემდე ვიდრე ჩავფიქრდებოდი, თუ როგორ დამეწერა გამოსამშვიდობებელი წერილი, პირველად მივედი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ოფისში სტაჟიორის სტატუსით და პირველ სართულზე ჯერ კიდევ ჩემთვის უცნობ ადამიანებთან ერთად განვთავსდი. იმ დღესვე გაირკვა, რომ ეს ადამიანები ოფისის ასისტენტი, ნინო მაჩხანელი და ლოჯისტიკის მენეჯერი, თემურ ოვჩიევი იყვნენ. იმავე დღეს, კომუნიკაციის ოფიცერმა, ნანა ლობჟანიძემ, ტრადიციულად, თანამშრომლებისათვის ჩემი წარდგენის მიზნით, მომატარა მთელი ოფისი და ყველას სათითაოდ უთხრა ჩემი სახელი, ისევე როგორც მე მათი, თუმცა, ჩემდა სამწუხაროდ, ნახევარიც ვერ დავიმახსოვრე. ეს ფაქტი მომავალში ოფისის თანაშემწე ნინოს წვალების დასაბამი გახდა, რადგან ყოველთვის, როცა ვინმე მოვიდოდა და რაიმეში დახმარებას მთხოვდა, მე ჩურჩულით ნინოს ვეკითხებოდი, თუ რა ერქვა ამ ადამიანს და ვინ იყო. თუმცა, ნინოს წვალება ცოტა ხნით გაგრძელდა, რადგან სტაჟირების დაწყებიდან ორ კვირაში, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მთელს ოფისს ვიცნობდი.

ერთ-ერთი პირველი ადამიანი, რომელმაც ჩემი დახმარების გამოყენება გადაწყვიტა, პროგრამის მენეჯერი, დერეკ დოლერი იყო. მან მთხოვა პარტიების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია სოკრატას ელექტრონულ ბაზაში განმეთავსებინა და როცა ამხელა მასალის დანახვაზე პესიმიზმი შემატყო, დასძინა, რომ ჯობდა ეს პერიოდულად მეკეთებინა, სხვა საქმეების პარალელურად.

## TI GEORGIA INTERNS

**Ana Tskhovrebova** – When my internship at TI Georgia came to an end and I had to leave the organization, I decided to write an email to the TI staff to say goodbye to them. Actually, it is not so difficult to compose a few sentences and express your gratitude and appreciation to every employee of the organization for being so well-disposed to you throughout the entire internship period. To my surprise, however, I remained unable for a while to shape my ideas as to how to address so many wonderful people representing a big close-knit team bearing the name of Transparency International Georgia. Hence the email headline: “Writing this email turned out more difficult than I had expected”.

I first came to TI Georgia as an intern and anchored on the first floor of the office with people yet unknown to me three months before I would begin to ponder over this farewell email. I learnt on the same day that the people with whom I shared the room were Nino Machkhaneli, the office assistant, and Temur Ovchiev, logistics manager. Right on the same day, Nana Lobzhanidze, communications officer, following the tradition of introducing a newcomer to the office, gave me a guided tour around the office introducing me to everyone individually, albeit, to my chagrin, I could not remember half of the names. This fact later occasioned the office assistant Nino’s tortures as every time somebody accosted me asking me to assist him/her, I would whisper to Nino to tell me who it was and remind me of the name. Nino’s tortures, however, did not last long, as in two weeks time, it can be safely said, I knew the entire office staff.

My duties involved assisting the office staff, which, basically, meant translating and editing certain documents or participating in meetings and activities organized within some projects. Derek Dohler, a program manager, was among the first people deciding to use my help. He asked me to upload the information on party financing in the Socrata electronic database, and, detecting pessimism in my face, added that I was supposed to do this from time to time alongside other assignments. Our cooperation did not finish there; for all three months Derek had been truly ingenious in giving innovative tasks, the most innovative of all being the one dealing with the malfunctioning of the Enterprise Management Agency website which Derek, for some reason, so desperately needed. After making several phone calls, Derek had an idea for me to go and find out on the spot what had caused the problem. All of the people on the first floor of the Ministry of Economic Development would probably remember a girl who for almost have an hour had been trying to persuade a person sitting in the hallway that she needed to get the phone number of anyone from the Enterprise Management Agency. On the plus side though, having returned from the Ministry, I proudly reported to Derek that the website was cut off due to non-payment and would immediately resume functioning after carrying in the sum, as the employees promised me. Not wishing this passage from my letter to remind you of an abstract from Amelie Nothomb’s Fear

ჩემი და დერეკის თანამშრომლობა ამით არ ამოწურულა, სამი თვის განმავლობაში დერეკი ნამდვილად გამოირჩეოდა ორიგინალური დავალებებით, თუმცა მათგან ყველაზე ორიგინალური მაინც ერთი იყო, როდესაც რატომღაც არ ფუნქციონირებდა საწარმოთა მართვის სააგენტოს ვებ გვერდი, რომელიც დერეკს, ასევე რატომღაც, აუცილებლად სჭირდებოდა. უშედეგო სატელეფონო ზარების შემდეგ, დერკს მოუვიდა იდეა წავსულიყავი და ადგილზე გამერკვია, თუ რატომ არ მუშაობდა უწყების საიტი. იმ დღეს ეკონომიკის სამინისტროს შენობაში პირველ სართულზე მყოფ ალბათ ყველა ადამიანს ახსოვს გოგო, რომელიც დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში იმპროვიზირებულად არწმუნებდა მისაღებში მჯდომ ადამიანს, რომ აუცილებლად სჭირდებოდა ვინმეს მობილურის ნომერი საწარმოთა მართვის სააგენტოდან. სამაგიეროდ, სამინისტროდან მობრუნებულმა დერეკს ამაყად ვაცნობე, რომ სააგენტოს ვებ გვერდი დავალიანების გამო იყო გათიშული და მისი თანამშრომლების დაპირების თანახმად, შესაბამისი თანხის ჩარიცხვისთანავე ამუშავდებოდა. ჩემი ნაწერის ეს მონაკვეთი ამელი ნოტომის ნაწარმოებიდან „კრძალვითა და ცახცახით" ამონარიდს რომ არ დაემსგავსოს, აქვე დავძენ, რომ ეს შემთხვევა დღემდე ძალიან კარგად მახსენდება და აქაც იმიტომ გავიხსენე, რომ ნაწერში ცოტა სიხალისე შემომეტანა.

